საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის

№ 218 ოთხშაბათი, აპრილის 11 (24) 1918 წ. № 218

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ამიერკავკასია ფედერატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა: ეს უკვე ეცნობა ყველა სახელმწიფოს.—სეიმმა დაადგინა განაგრძოს საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან.—ამიერკავკასიის ძველი მთავრობა გადადგა და ახალი მთავრობის შედგენა აკ. ჩხენკელს მიენდო.—აკ. ჩხენკელმა წინადადება მისცა ოსმალეთის ჯარების უფროსს შეაჩეროს საომარი მოქმედება საზავო მოლაპარაკების დასრულებამდე.—ახალციხეში სრული სიწყნარე ჩამოვარდა—ჩვენმა ჯარმა ჩოლოქზე ძველი პოზიციები დაიბრუნა და ოსმალოებს 4 ვერსით დაახევინა უკან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მანეთ., 20×2 ღირს 12 მან., 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (კ. [illegible] „[illegible]") ზარიანის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакме", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 35 კაპ.

ტელეფონი 12—29

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 4 მ. 50 კაპ., 3 თვით 13 მ. 15 კ., ნახევარი წლით—27 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 30 კ., რკ. გზის სადგურებზე 35 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ., ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

ღრმად დამწუხრებული კოლა შავიძე აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელ მეუღლის

მარო |მარუსა| სიმონის ასულ

შავიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 12 აპრილს, ქ. ტფილისში (ნაძალადევი, დმიტრიევის ქ. სახლი 23). 421-11

გულდათუთქული მეუღლე კნეინა ანნა მალხაზის ასული ციციშვილისა შვილებით პავლე და სოფიოთი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ ტრაღიკულად მოკლული 8 აპრილს

ზაქარია ზაქარიას ძის

ციციშვილის

პანაშვიდი ყოველ დღე 5 ნახ. საათზე რკინის გზის საავადმყოფოს ეკლესიაში. გამოსვენება 11 აპრილს დღით ოთხშაბათს დილის 9 საათზე კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე დასაკრძალავად. 422 11

თ. სახოკია და დეკანოზი ანტონ კიკელია შვილებითურთ გულითადს მადლობას მოახსენებენ ყველას, ვინც პირადად თუ ტელეგრამებით მიუსამძიმრეს და ნუგეში სცეს პირველის მეუღლისა, მეორეს—ასულისა და მესამეთა დედისა და დის

ნადეჟდა სახოკიას

გარდაცვალებისა გამო.

დღეს ოთხშაბათს 11 აპრილს [illegible] ზემო ვერის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულ

ოლღა თავადი დიმიტრი აბაშიძის ასული

ბებურიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებენ მეუღლე დავით თომას ძე ბებურიშვილი შვილებით ელენეთი და იოსებით. 423

პირველ ქართული ცხენოსანთა პოლკი აუწყებს, რომ ტრაგიკულად გარდაიცვალა ვახმისტრი

დავით ყიფიანი

ცხედარს მიხეილის საავადმყოფოდან გამოასვენებენ სადგურზე 11 აპრილს 12 ნახ. საათზე. დაკრძალვა ს. ქვიშხეთში. 415 2

დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ბაღი, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 19—00

დღეს 10 აპრილს გაიმართება

გამოსათხოვარი ბენეფისი

იაპონელთა დასისა იამადასონის მეთაურობით, მრავალი ახალი სანახაობა. დღეს გაილებზე „საიდუმლო ყუთი". დღეს პირველად „ჰაერის წისქვილი" და სხვ. მონაწილეობს მთელი დასი. დასაწყისი 8 საათზე. დასასრული 11 საათზე. 424

ქართული კლუბი

კვირას, 15 აპრილს, 1918 წ.

სადღესასწაულო წარმოდგენა

ვ. ა. აბაშიძის 40 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად

გაიმართება ორი წარმოდგენა

დილით: პეპო, კომედია 3 მოქმედ. გ. სუნდუკიანცისა.

საღამოთი: ნამუსისათვის, პიესა 4 მოქ. შირვანზადესი.

მონაწილეობენ ძველი და ახალგაზრდა მსახიობნი. პიესებს სდგამენ ა. წუწუნავა და კ. შათირიშვილი. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. 1071

მომხ. საზოგ. „მუშაკის" წევრების საყურადღებოდ

ტფილისის გაზეთებში განცხადებაა მოთავსებული მოსამსახურეების საბჭოსგან, რომ კვირას, 8 აპრილს, დანიშნულია საზოგადოების კრება. საზოგ. წევრების ძალით მოწვევას უფლება აქვს მხოლოდ გამგეობას, რომელიც მოიწვევს 15 აპრილს, ადგილი კრებისათვის ცალკე იქნება გამოცხადებული. 12

გამგეობა.

ქართ. დრამატიულ ახალ დასისთვის

სუფლიორის თანამდებობაზე

საჭიროა ინტელიგენტი საშუალო სასწავლებელ გათავებული ქალი, რომელიც სრულიად თავისუფალი უნდა იყოს სხვა საქმისაგან.

ქართ. დრამატ. საზოგ. კანტორა ღიაა 10—2 ს. და 4—6-დე, გოლოვინის პროსპექტი № 11. 1127

ხუთშაბათს, 12 აპრილს (ძველი სტილით), ნაშუადღევის 4 საათზე დანიშნულია კუკიის წმ. ნინოს

ეკლესიის მრევლის კრება,

ეკლესიის საბჭოსი და მნათეს ასარჩევად.

საზოგადოება რამდენიც დაესწრება, კრება ჩაითვლება კანონიერად. 418

ქართული ტანვარჯიშო საზოგადოება

„ამირანი"

დაარსებული ქართ. სამხედ. კავშირის მთავარ კომიტეტის მიერ, იწვევს ყველა ქართველს, ორივე სქესის, საგიმნასტიკო სამხედრო ვარჯიშობისთვის, რადგანაც ერის ფიზიკურად მაგარი ხნეული, ძლიერია სულიერადაც.

მოწაფეები მიიღებიან 15 წლიანებიდან. გადასახადი 50 კაპ. თვეში. სწავლა იწარმოებს კვირაში ოთხი დღე. ორშაბათობით და პარასკევობით ვაჟთათვის, ოთხშაბათობით და კვირაობით ქალთათვის. კვირაობით სწავლა იწყება დილის 11 ს. 1-მდის, დანარჩენ დღეებში საღამოს 7 ს. 9 მდის. ბინა: ტფილისი გოლოვინის პროსპექტი 1-ლი სავაჟო გიმნაზია.

ქართ. მ. კ. მ. კომიტეტი.

ტფილისი, 11 აპრილი 1918 წ.

სეიმმა თითქმის ერთხმად გადაწყვიტა **ამიერკავკასიის** ამიერკავკასია დამოუკიდებელ **სახელმწიფოდ** გამოცხადდეს, ეცნობოს ეს ამბავი მთელი ქვეყნის სახელმწიფოებს და წინადადება მიეცეს ერთის მხრით ოსმალეთს, შესწყვიტოს საომარი მოქმედება, მეორეს მხრით გერმანიასა, ავსტრიასა, ბულგარეთს და იმავე ოსმალეთს, დაინიშნოს ადგილი, სადაც შეიკრიბებიან ამიერკავკასიის სახელმწიფოსა და ზემოხსენებულ სახელმწიფოთა წარმომადგენლები საზავო ხელშეკრულების დასადებად. დღეიდან ამიერკავკასია უკვე დამოუკიდებლად გამოდის საერთაშორისო ასპარეზზე და თავისი საკუთარი ძალღონით უნდა მოახდინოს როგორც ომის ლიკვიდაცია, ისე ომის შედეგებისა. იქნება ზავი თუ ომი,—ამას მომავალი გვიჩვენებს. მაგრამ ამიერკავკასიის ახალი მთავრობის მიზანი მაინც ის იქნება, რომ ჩამოაგდოს მშვიდობიანობა და, თუ ამას ვერ მოახერხებს, იბრძოლოს თავისუფლებისთვის, დამოუკიდებლობისთვის. ეს იქნება საგარეო პოლიტიკა ახალი მთავრობისა.

შინაური პოლიტიკაც არსებითად უნდა შეიცვალოს. ჩვენი „წყეული" შინაური საკითხები დღეის შემდეგ გარდაწყვეტილებისა და განხორციელების გზას უნდა დაადგეს. სეიმმა ამიერკავკასია დემოკრატიულ-ფედერატიულ რესპუბლიკად გამოაცხადა და ეს კი იმასა ნიშნავს, რომ საფუძველი უნდა ჩაეყაროს არა მარტო საერთო ამიერკავკასიის კონსტიტუციას, არამედ ამიერკავკასიის ეროვნულ-ტერიტორიალურ ერთეულების კონსტიტუციასაც. სახელმწიფოებრივი კონსტრუქცია ამიერკავკასიისა ახალ ნიადაგზე მოხდება და გზა გაეხსნება როგორც თვითეულ ერის ცალკე კულტურულ ზრდას, ისე ამიერკავკასიის ერთა ძმურს თანამშრომლობას.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ხულიგანები, პროვოკატორები და ძველი რეჟიმის ფარული და აშკარა მოხრენი სისინს დაიწყებენ და შეეცდებიან შუღლი და მტრობა გააძლიერონ ამიერკავკასიის ერთა შორის. მაგრამ ის თანხმობა, რომელიც სეიმში დამყარდა ყველა ერის პარტიათა შორის, უტყუარი ნიშანი უნდა იყოს იმისა, რომ ამიერიდან ბოლო მოეღება ამიერკავკასიის ერთა შორის არსებულ მტრობას. ყოველივე ცდა პროვოკატორებისა, ხულიგანებისა და კონტრ-რევოლიუციონერებისა ამიერიდან სათავეშივე უნდა ჩაიკლას ამიერკავკასიის ერთა სოლიდარობისა და ძმური კავშირის საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს ამიერკავკასიის დამოუკიდებელ ფედერატიულ სახელმწიფოს.

გაუმარჯოს ამიერკავკასიის ერთა ძმურ კავშირს!

გაუმარჯოს ამიერკავკასიის ინტერნაციონალურ დემოკრატიას!

გაუმარჯოს ბრძოლას ამიერკავკასიის თავისუფლებისთვის!

დღეს თუ ხვალ

ცხოვრება არ იცდის. თანამედროვე მდგომარეობა კატეგორიულად და დაუყონებლივ პასუხს მოითხოვს. ბათომი დაეცა, ქობულეთი დაიკავეს, ზეკარისწყალგვართვე', ყარსს დაუახლოვდნენ და ალყა შემოარტყეს... საზოგადოებრივი აზრი ღელავს, ტოკავს და ლამის არის მან არა ნორმალური და არა სასურველი მიმდინარეობა მიიღოს. ამ განსაცდელის ჟამს, საბედისწერო მომენტში კავკასიის ეხლანდელი მთავრობის სიჩუმე ბევრს მწარე ფიქრებს ჰგვრის და იმედსაც უკარგავს. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ საზოგადოებრივი ინტერესი დიდს სიფრთხილეს და სიდინჯეს მოითხოვს. „ისტორია არ უცდის დაგვიანებულთ", მაგრამ ისტორია სასტიკად სჯის იმათაც, ვინც დროსა და გარემოების შეუფერებლად წინ გარბის.

საჭიროა სულის სიმშვიდე,—სიჩქარით საქმე ვერ გაკეთდება. უნდა ვიქონიოთ რწმენა, რომ დიად შედეგებს მივაღწევთ მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენს მხარეზე იქნება აზრთა სიმწიფე და წმინდა, მხურვალე სიყვარული თავისუფლებისა და სამშობლოსი.

დღეს ცხოვრების მიერ დასმულია საკითხი, რომლის გადაწყვეტამ საუკუნოებით უნდა განსაზღვროს ჩვენი ბედი. ნურავინ იფიქრებს, რომ გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა ადვილი საქმე იყოს. ძველი რეჟიმის მემკვიდრეობა, რომელიც კიდევ სულს გვიხუთავს, თავისებური ორგანიზაცია თანამედროვე მართვა-გამგეობისა, საოცარი მწვავე წინააღმდეგობა ინტერესებისა ამიერკავკასიაში, მთელი ეკონომიური ცხოვრების დაშლა, საერთაშორისო მდგომარეობის გართულება დიდს გასაჭირსა და განსაცდელს წარმოადგენს; დღევანდელ პირობებში ყოველივეფერი აწონილი უნდა იყოს; ყველაფერს უნდა მოველოდეთ; დიდი ძალთა დაგროვება და მზადება გვჭირია; თვალი გამჭრიახი უნდა ვიქონიოთ, და ყური მახვილი.

მომავალი ჩვენი ქვეყნისა და ამიერკავკასიისა უკვე გადაწყვეტილია. დრო ჩვენს მხარეზეა. არავითარ დებატებს არ შეუძლიან შეაჩეროს ან დაარღვიოს დიად და ძლიერ ისტორიულ ძალთა მიმდინარეობა, და ეს დიადი ძალები დღეს ჩვენს წინააღმდეგ კი არ არიან, პირ-იქით ჩვენს მხარეზე დარაზმულნი.

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ ბევრი რამ გვარგუნა, მოგვცა, ბევრი ოცნება ჩვენი სინამდვილედ აქცია. რუსეთის რევოლიუციის მნიშვნელობა იმით კი არ განისაზღვრებოდა, რომ კოსმოპოლიტური იდეალები წამოაყენა; რუსეთის დიდმა რევოლიუციამ, როგორც საფრანგეთის 1789 წლის რევოლიუციამ, კოსმოპოლიტიზმიდან ნაციონალიზმთან მიგვიყვანა. რევოლიუციამ წამოაყენა ნაციის იდეა; რევოლიუციამ განმარტა, რომ ერს აქვს უფლება თავისუფლებისა და თვითგამორკვევისა. ხალხები (ნაციები) მთელი რუსეთის სივრცეზე ამ შემთხვევაში მთავრობის წინ მიდიოდნენ. მთავრობა ხშირად წინ ეღობებოდა ამ მოძრაობას, ხშირად ხელს უშლიდა; მან საკმარისად ვერ დააფასა რევოლიუცია ამ მხრით, და ეჭვს გარეშეა, რომ სხვათა შორის ამითაც აიხსნება რუსეთის საოცარის სისწრაფით დაშლა-დანგრევა... რუსეთის რევოლიუციონერები და რესპუბლიკანელები კი თავიანთ თავს კოსმოპოლიტების სახელით ნათლავდნენ, მაგრამ ისინი მხოლოდ სიტყვით იყვნენ ამგვარი; ისინი გრძნობდნენ, აზროვნებდნენ, მოქმედებდნენ, განმარტავდნენ თავიანთ უნივერსალურ იდეებს და განყენებულ პრინციპებს დიდი რუსეთის ტრადიციების საშვალებით; თავისი ეროვნული საქმე ყველა ეროვნების საქმედ მიაჩნდათ; ერთა ემანსიპაცია რუსეთში კი ერთა დამორჩილებას მოითხოვდა რუსეთის რესპუბლიკის პოლიტიკურ, კულტურულ და სოციალურ სიძლიერებისათვის. აქაა მიზეზი რუსეთის რევოლიუციონერების დამარცხებისა; შედეგში კი განთავისუფლება ხალხებისა და მათი თვით გამორკვევა. ეს პროცესი დღეს კიდევ არ დასრულებულა.

ჩვენი ქვეყანა და ამიერ-კავკასია დღეს თუ ხვალ ოფიციალურად ამ ნაბიჯს გადადგამს. თავისუფლება დედაა სილამაზისა და ცხოვრებისა: ის ასაზრდოებს ქვეყანას და მუდამ მის განახლებას ემსახურება. თავისუფლებამ ჩვენი ქვეყანაც განაახლა... ამ განახლებულ ქვეყანას დღეს თუ ხვალ გარკვეული პოლიტიკური სახე უნდა მივსცეთ. პოლიტიკური ცხოვრების გარდაქმნა ეროვნულ ნიადაგზე დიდი და მძიმე საქმეა. ხელი შეუწყოს ყველამ ამ საქმის დაგვირგვინებას. ჩვენ ნება გვაქვს ვიფიქროთ და ვიმედოვნოთ, რომ დღეს არავითარი სხვა ინტერესი არ არსებობს გარდა ქვეყნის ინტერესისა. საზოგადოება დარწმუნებული უნდა იყოს, რომ არსებული და მომავალი მთავრობა პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას ისტორიისა და მომავლის წინაშე. მაშ მეტი რწმენა, მეტი ერთსულოვნება, მეტი საქმიანობა და მეტი მორჩილება. ამას მოითხოვს ქვეყნის უმაღლესი ინტერესი.

ალ. მდივანი.

ოფიციალური დეპეშები

სარაყამიშის მიმართულებით. 6 აპრილის ბრძოლის დამატებითი ცნობები. 6 აპრილს ოსმალოებმა დაიწყეს შეტევა ბეგლი-ახმეტის რაზმის მთელ ფრონტზე განსაკუთრებით ენერგიულად აწარმოებდნენ შეტევას ოსმალოები ორი ბატალიონით, არტილე-

რიით და ტყვიის მფრქვეველებით ერთ-ერთ ჩვენი პოლკის ბატალიონის წინააღმდეგ, რომლის პოზიციები სოფ. ბეზირგიან-კეჩითში იყო მტრის პირველი იერიში მოგერიებულ იქმნა. 7 საათზე მტერმა, არტილერიისა და ტყვიისმფრქვეველების დიდი მზადების შემდეგ, კვლავ მოიტანა იერიში იმავე ბატალიონზე, რომელიც, როდესაც ბატალიონის კომანდირი დაჭრეს და სამი როტის კომანდირი მოჰკლეს, ბრძოლით იხევდა უკან, მაგრამ შეჩერებულ იქნა დაჭრილ კომანდირის მიერ. იმავე პოლკის მეორე ბატალიონი, რომელიც უკან დახეულ ბატალიონის ჩრდილოეთით იდგა, მტერმა ორ-ვე ფლანგით მოუარა და იძულებული იყო დაეხია. რაზმის დანარჩენი ნაწილები, რომელნიც ფრონტიდან მოხრილ ფლანგის სამხრეთით იყო დაბინავებული, [illegible] და თან იხევდნენ და დაბინდებისას ახალი პოზიციები დაიკავეს ბეგლი ახმეტის წინ. იმავე დღეს ბეგლი-ახმეტის რაზმის მარცხენა ფლანგით ოსმალოებმა გათენებისას ისარგებლეს ნისლით და იერიში მოიტანეს კაზი-კაის მაღლობზედ, გააქციეს ჩვენი ნაწილები და 2 ტყვიისმფრქვეველი ჩაიგდეს ხელში. მარცხენა ფლანგის საშველად რეზერვიდან გაიგზავნა ნაწილები, ხოლო ოსმალოთა მარჯვენა ფლანგის შემოსავლელად ცხენოსნები იქმნენ გაგზავნილი აგადავის მთის აღმოსავლეთით. ოსმალოები კაზი-კაის სამხრეთით გააქციეს და ჩვენი ტყვიის მფრქვეველები უკან დაიბრუნეს; ჩვენმა ცხენოსნებმა კარა-კილისის რაიონში ოსმალოების ტყვიის მფრქვეველი ჩაიგდეს ხელში. ოსმალოების შემოტევა ალ ფუნგარ-ყალიზმანის შარა გზით შეაჩერეს რეზერვის მოსულმა ნაწილებმა. ოსმალოები, ჩვენი ცხენოსნებით დევნილნი იძულებული იყვნენ ოლუხლისაკენ დაეხიათ. ამ რაიონში, 6 აპრილის 18 საათისათვის ოსმალოებმა ოლუხლისა და ილგუზჩამოსაკენ დაიხიეს.

შატილოვი.

1918 წლის 10 აპრილი. 12 საათი.

ზღვის სანაპიროების მიმართულებით. ნოტანების სამხრეთით სროლაა. დამატებითი ცნობებით 8 აპრილს ჩვენი შეტევის დროს ჩოლოქსა და ოჩხამურს შუა ოსმალოები 4 ვერსის მანძილზე გავრეკეთ. ხელში ჩავიგდეთ 2 ტყვე და 20 „ვინტოვკა“ ბრძოლის ველზე ოსმალთა 80 გვამი ნახეს. ჩვენმა ნაწილებმა დაიბრუნეს ჩოლოქი.

ზეკარის და არტაანის რაზმებში მდგომარეობა უცვლელია.

სარიყამიშის მიმართულებით. 9 აპრილს დილით, ოსმალოებმა საარტილერიო მზადების შემდეგ იერიში მიიტანეს ბეგლი-ახმეტის რაზმის ნაწილებზე და მოუარეს მის მარცხენა ფლანგს აგადავის მთის აღმოსავლეთით. მტრის შემოტევის გამო რაზმმა დამზადებულ პოზიციებისაკენ დაიხიეს ვლადიყარსის აღმოსავლეთით, ყარსის ჩრდილო აღმოსავლეთით, მალო-ვორონცოვკას, პროხლადნაიას, რომანოვოს, მტრის და ბაშკადიკლიარის რაიონში ქურთთა ბრბოები გამოჩნდა, რომელთა წინააღმდეგ ჩვენი ნაწილები გაიგზავნა.

შატილოვი.

1918 წლის 10 აპრილი. 15 საათი.

სარაყამიშის მიმართულებით. 9 აპრილს ღამით ერთმა ჩვენმა ნაწილმა, რომელიც ბეგლი-ახმეტის რაზმის პოზიციის მარჯვენა ფლანგით იყო, აღმოსავლეთით დაიხია. 10 აპრილს დილით მდგომარეობა ძველ კალაპოტში ჩადგა. ჩალგაურის უღელტეხილიდან, რომელიც ყარს 8 ვერსით არის დაშორებული ჩრდილო-დასავლეთით, ოსმალოებმა 9 აპრილს 13 საათზე საარტილერიო ცეცხლი გააჩაღა სოფ. ბლაგოდარნოეს მიმართულებით.

შატილოვი.

ამიერკავკასიის სეიმის ისტორიული სხდომა

9 აპრილის სხდომა.

სეიმის ამ ისტორიულ სხდომას თავმჯდომარეობს **კარლო ჩხეიძე.**

მიმდინარე საკითხი, რომელიც მეტად მწვავე და საჭირ-ბოროტო ხასიათისა არის და სეიმისგან მოითხოვს დაუყონებლივ გადაჭრას, დაყენებულია **ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა.**

ამ საკითხის შესახებ მოხსენებას იძლევა დ. ონიაშვილი იმ კომისიის სახელით, რომელსაც დავალებული ჰქონდა „დაშნაკცუთუნის“ მერყევ პოზიციის წყალობით შესწავლა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის საკითხისა.

ამიერკავკასიის ერები—ასე იწყებს მოხსენებას დ. ონიაშვილი—ითმენდნენ რუსეთის თვითმპყრობელ რეჟიმს, თუმც ის უღელი მეტად მწვავე და სამძიმო იყო. მდგომარეობა პოლიტიკური ისეთი იყო, რომ გარეშე რუსეთისა და რუსულის სხვა ორიენტაციის შექმნა არც შეიძლებოდა და არც საჭირო იყო, რუსეთის რევოლიუციამ, რომელიც ამ ერთი წლის წინად წარმოიშვა, უფრო გააძლიერა რა დაჩაგრულ ერებში რუსეთის ორიენტაცია, რადგან რევოლიუციისგან ყველა სამართლიანად მოელოდა თავისუფლებას, ხოლო თვითეული ერი რუსეთისა, მათ შორის ამიერკავკასიის ერნიც, დარწმუნებულნი და მოიმედენი იყვნენ იმისა, რომ რევოლიუციონური რუსეთი არ შებორკავდა მის თავისუფალ განვითარებას, არ ეწინააღმდეგებოდა მის პოლიტიკურ და თავისუფალ ცხოვრე[illegible] [illegible] იყო რომ ამიერკავკასიის [illegible] რუსეთის დემოკრა[illegible] და [illegible] არ მოითხოვდნენ, [illegible] ლობდნენ საერთო საქმის [illegible] განმტკიცებას.

მაგრამ [illegible] სხვანაირად, სხვა გზით წარიმართა ჩვენი ცხოვრება: ოქტომბრის რუსეთის ძალაუფლება ხელთ იგდეს ბოლშევიკებმა და მთლიანი ფრონტიც დაიშალა. ბოლშევიზმა, როგორც მოძრაობამ, დაჰკარგა იდეური სახე და მიიღო სოციალიზმის საწინააღმდეგო ხასიათი. ამნაირად, დღეს-დღეობით რუსეთში არის რეაქციონური მოძრაობა. ჩვენ უნდა უარვყოთ ეს მოძრაობა (ტაში. ისმის ხმა: ძირს და ხმაურობა).

ამ გართულებულ მდგომარეობიდან არის ერთად-ერთი გამოსავალი—დამოუკიდებლობის გამოცხადება და ფედერატიულად შეკავშირებულ რესპუბლიკის შექმნა (ტაში).

დამოუკიდებლობის გამოცხადებას გვეკარნახებს კიდევ ის გარემოება, რომ სახალხო კომისართა საბჭომ ვერაგულად მისცა ამიერკავკასია ოსმალეთს. ამიერკავკასიის ხალხი მოიმედე იყო იმისი, რომ რუსეთი მას გამოესარჩლებოდა და დახმარებით გამოეხმაურებოდა ჩვენს მოწოდებას, მაგრამ უკანასკნელი რუსეთის მხრივ დარჩა „ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

დღეს გამწვავებული მდგომარეობაა. ამიერკავკასიას საფრთხე ორი მხრით მოელის: რუსეთისგან ბოლშევიკების სახით და ოსმალეთისგან, რომელიც უკვე ჩვენს ტერიტორიაში შემოიჭრა და არა რევოლიუციას და თავისუფლებას მარტო, არამედ ჩვენს ფიზიკურ არსებობას საფრთხეში აგდებს. ასეთ პირობებში რყევა დამღუპველია, მომაკვდინებელი ცოდვაა. ამიტომ დამოუკიდებლობის გამოცხადება არის აქტი პოლიტიკურ აუცილებლობით ნაკარნახევი.

ზოგიერთებს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მოჰყავთ ეკონომიური მოსაზრებანი, მაგრამ რა ეკონომიური დახმარებაა ამიერკავკასიისთვის მოსალოდნელი. იმ რუსეთისგან, სადაც ეკონომიური კრიზისი ჩვენზე უფრო ძლიერია? არც ფინანსიური ხასიათის მოსაზრებანი არიან ისე დამაჯერებელნი, რომ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება შეფერხდეს. ფინანსების მხრივაც რუსეთში დიდი კრიზისია, ხოლო ჩვენ რუსეთთან ის უპირატესობა გვაქვს, რომ ბევრი ჩვენში ბუნებრივი სიმდიდრე, რაც ნორმალურ პირობების შექმნისათანავე საშუალებას მისცემს ამიერკავკასიას თავის ფინანსიური პოლიტიკა წარმატების გზაზე დააყენოს.

მივიღებთ რა ყველა ამას მხედველობაში, კომისიის სახელით წინადადებას ვაძლევ სეიმს: გამოაცხადოს მან დამოუკიდებლობა ამიერკავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკისა, რომელიც შედის საერთაშორისო დამოკიდებულებაში. მიწა უნდა ეკუთვნოდეს ხალხს. რაც შეეხება ანარქიას, რომელიც ნელ-ნელ იკიდებს ფეხს ჩვენს მიწა წყალზე, მთავრობამ უნდა მიიღოს სწრაფი და სასტიკი ზომები მის ჩასაქრობად და მოსასპობად. მანვე უნდა მოიგერიოს ყველა მტერი, ვინც კი ამიერკავკასიის მთლიანობას საფრთხეს უქმნის და საიდანაც უნდა მოდიოდეს იგი. ხალხთა შორის ძმობა—აი თავდები ამიერკავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკის აყვავებისა და დიდებისა (ხანგრძლივი და ძლიერი ტაში).

რასულ-ზადე (მუსავ.) როდესაც ამიერკავკასიის ერნი რუსეთთან ერთად ეწეოდნენ საერთო უღელს, მათ ასულდგმულებდა ერთი მიზანი—ძველი რუსეთის თავისუფალ რუსეთად გარდაქმნა, სადაც ყველას, ყველა ერს საშუალება ექნებოდა თავისუფალ ცხოვრებისა. რევოლიუციის საშუალებით უნდა განგვეხორციელებინა ეს საერთო მიზანი, რომლისკენაც ყველანი მიისწრაფოდნენ. მაგრამ მოხდა ისეთი სასწაული, რომელმაც სასოწარუკვეთა ყველა იმას, ვისაც კი სურდა დემოკრატიული რუსეთის ხილვა. დღეს იქ თავისუფლების ნაცვლად ანარქიაა გაბატონებული, ხოლო დიდი ლოზუნგი თვითგამორკვევისა ასე შეატრიალეს და შინაარსიანად გააცამტვერეს: გამოირკვიე მხოლოდ ცენტრის ბრძანება-ნებართვის თანახმადო. ასეთმა რუსეთმა უკვე შეჰკრა ზავი თავის მტერთან ამიერკავკასიის ხალხთა ხარჯით. ამიერკავკასიის დემოკრატიამ უნდა დაიცვას მტკიცედ რევოლიუციით მოპოებული უფლებანი და იგი არ უნდა შეეწიროს მსხვერპლად არც რუსეთს და არც ოსმალეთს. ხოლო ჩვენი დამოუკიდებლობა უნდა გამოცხადდეს არა შიშით, არამედ სინიდისის ქვეშე. ეს მოგვცემს საშუალებას თავი დავიცვათ მაგრამ დამოუკიდებლობას ჩვენ ცოტა დაგვიანებით ვაცხადებთ, რადგან ჩვენ უკვე სამი ოლქი ჩამოგვართვეს. მიუხედავად ამისა მაინც დამოუკიდებლობის გამოცხადებით ჩვენ უზრუნველ ვყოფთ ამიერკავკასიის თავისუფალ განვითარებას და შეიძლება დანაკარგიც დავიბრუნოთ.

გრ. გიორგაძე პრინციპიალურად საკითხი დამოუკიდებლობისა გადაჭრილია. საამისოდ პირობები უკვე მომწიფებულია. პირველი ამათგანია ის ფაქტი, რომ ჩვენ დამოუკიდებლად ვცხოვრობთ კარგა ხანია. მაგრამ ამიერკავკასიას განკერძოებით ცხოვრება არ შეუძლიან, მისთვის საჭიროა საერთაშორისო ურთიერთობაში შესვლა. ამისათვის კი საჭიროა მისი პოლიტიკურად გარკვეული სახეობა და ასე სახელმწიფოთა ოჯახში შესვლა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დამოუკიდებლობა გამთიშველ ძალებს ალაგმავს და უმეტესად შეაკავშირებს ამიერკავკასიის ერებს.

არ დავმალავ, რომ ჩვენს ფრაქციაში არის მეორე თვალსაზრისი, რომელიც ოპტიმისტურად არ უყურებს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, მაგრამ ამის მოზიარე ნაწილიც გულწრფელად მოწადინებულია მათი აზრი არ გამართლდეს და ისინიც ხელს შეუწყობენ მთელის თავის არსებით, რათა ამიერკავკასიას სახელმწიფოთა შორის ღირსეული ადგილი ჰქონდეს დაჭერილი. (ტაში).

თუმანოვი (ს.-რ.) ეს-ერთა პარტიის საოლქო კომიტეტის იმ ნაწილის სახელით, რომელიც დამოუკიდებლობის წინააღმდეგია, ვაცხადებ, რომ ჩვენ ყოველთვის ერთა თავისუფლებას ვიცავთ, ვიცავთ ერთა დამოუკიდებლობასაც კი, მაგრამ ამ შემთხვევაში ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას არ ვიზიარებთ მიზანშეწონილობის კარნახით. დამოუკიდებლობას ამიერკავკასიისგან მოითხოვენ ოსმალეთის იმპერიალისტები და იგი ეწინააღმდეგება ჩვენს ინტერესებს.

თუ დამოუკიდებლობა გინდოდათ, რატომ დამფუძნებელ კრების არჩევნებზე არ ამბობდით ამას, რატომ ხალხს არ ეკითხებოდით, რატომ არ ახდენთ რეფერენდუმს? რუსეთის ორიენტაცია რეაქციონური კი არა, რევოლიუციონურია. ამიერკავკასიის დამოუკიდებულება არის ნიშანი ოსმალეთის ბატონობისა, ამიტომ მას ჩვენ მხარს არ დაუჭერთ.

ხემიონოვი (კადეტი) იხსენიებს დამოუკიდებლობის საკითხის ისტორიას და აღნიშნავს, რომ მას აცხადებენ მუსავათელთა ზეგავლენით, თუმც დამოუკიდებლობის სასარგებლოდ არც ერთი პრინციპიალური მოსაზრება არა აქვთ. და ბოლოს იგი წინადადებას აძლევს: სეიმი რომელიც უფლებამოსილი არ არის ამ საკითხის გადაჭრაში, დათხოვნილ იქნას და მოიწვიოს ახალი დამფუძნებელი და საკანონმდებლო ორგანო.

გვაზავა (ნაც.-დემ.) დღეს ახალ ორგანოების შექმნაზე და სეიმის დაშლაზე ლაპარაკი პროვოკაცია და სხვა არაფერი. (ტაში). საკითხი ასეა. ჩვენ ევროპასაკენ მივისწრაფვით და ამიტომ მეორე ორიენტაცია არის საჭირო. დამოუკიდებლობა იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ საქმეებს ჩვენვე განვაგებთ. ფინანსიურ-ეკონომიური თვალითაც რომ შევხედოთ დამოუკიდებლობას, მაშინაც საჭიროა იგი. [illegible] სხვა არა თუ რა, რუსეთის ვალს მაინც არ გადვიხდით. (სიცილი).

შემდეგ იგი იგონებს 1783 წ. ტრაქტატს, რომელიც რუსეთმა ვერაგულად დაარღვია და დასძინა: რუსეთს უფლება არ ჰქონდა ქართველთა სისხლი კარპატების მიდამოებში დაეღვარა. აი ამიტომაც არ შეუძლიან რუსეთს თავის ვალი ჩვენ გადაგვახდევინოსო.

ივ. ლორთქიფანიძე. (ს რ) ეს-ერთა საოლქო კომიტეტის მეორე ნაწილის სახელით აცხადებს, რომ იგი ემხრობა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას.

ქაჩაზნუნი. (დაშნ.) აცხადებს, რომ მისი ფრაქცია ემხრობა.

გიორგი ლასხიშვილი. (სოც.-ფედ.) აცხადებს, რომ საქართველოს სოც.-ფედერ. სარევ. პარტია მოითხოვდა და მოითხოვს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას და მას მთელის არსებით დაიცავს.

კანტემიროვი, (მუს. სოც. ბლოკი) **აგამალოვი** და **შეიხ-ულისამოვი** (ჰუმეტი) **ემხრობიან.** აგამალოვი აცხადებს, რომ ამიერკავკასიაში აგრეთვე დაღესტანიც შემოვა.

რ. არსენიძე აცხადებს რომ მისმა პარტიამ ერთი კალმის მოსმით არ გადასწყვიტა ეს მძიმე საკითხი, რომ მას სურს რუსეთის ნამდვილმა დემოკრატიამ, არა საბჭოებმა, სწორედ გაიგონ ამიერკავკასიის მისგან ჩამოშორება. იგი ამბობს ჩვენ სულიერ კავშირს რუსეთის დემოკრატიასთან არ შევწყვეტთ, ჩვენ კვლავ ალფრთოვანდებით იმ მაღალ იდეებით, რომელთა გულისთვის რუსეთის დემოკრატია იბრძვისო.

მან უნდა დაინახოს, რომ დამოუკიდებლობა იძულებით ხდება, რომ ხალხის ინტერესი მოითხოვს გართულებულ მდგომარეობისგან სწორედ ამ გზით გამოსვლას. რუსეთი არ დაივიწყებს, რომ ჩვენ მათთან გვაერთებს ლოზუნგი: „პროლეტარებო—ყველა ქვეყნისა შეერთდით“. (ტაში).

ამბობენ, თითქოს ჩვენი ორიენტაცია ოსმალეთის ორიენტაცია იყოს არა. იგი სწორედ მის საწინააღმდეგოა.

თუმანოვი (ს.-რ.) განმეორებით აცხადებს, რომ ჩვენ მხარს არ დაუჭერთ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობასო.

ი. გობეჩია (ს.-რ.) აცხადებს, რომ ჩვენ ხმას მივსცემთ დამოუკიდებლობასო.

შემდეგ მცირე კამათი მოხდა. **დ. ონიაშვილი** გამოეხმაურა სემიონოვს, ხოლო **რასულ ზადე**—თუმანოვს.

და ბოლოს სეიმმა მიიღო მენშევიკებისაგან წარდგენილი ასეთი რეზოლიუცია:

„1) გამოცხადებულ იქმნას ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერატიული დემოკრატიული რესპუბლიკა, —ეცნობოს ეს სხვა სახელმწიფოებს, 2) დაევალოს მთავრობას კონსტიტუციის შემუშავება.

სეიმი ამას დიდი ოვაციებით იღებს ორმა კენჭი წინააღმდეგ მისცა.

შემდეგ სეიმს ვრცლად მოახსენა საზავო დელეგაციის თავმჯდომარემ **აკ. ჩხენკელმა** მოლაპარაკების მიმდინარეობა, რომლის შინაარსს ჩვენ ცალკე გადმოვცემთ მკითხველებს.

მოხსენების მოსმენის მერე სეიმმა ასეთი რეზოლიუცია მიიღო გრ. გიორგაძისგან წარდგენილი მოისმინა რა მოხსენება მოლაპარაკების თაობაზე, სეიმი წინადადებას აძლევს მთავრობას განაგრძოს ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკება მიიღოს ზომები, რათა სამხედრო მოქმედებანი სწრაფად იყვნენ შეჩერებულნი და ჩამოვარდეს ზავი; ამავე დროს მიღებულ იქმნას ზომები ქვეყნის დასაცავად.

„**მუსავათის**“ ფრაქციამ წარადგინა საკუთარი რეზოლიუცია, რომლის მიხედვით დელეგაციას ნდობა ეცხადებოდა და ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობის მიღება.

ხატისოვმა აღნიშნა, რომ საჭიროა ნორჩ სახელმწიფოს ადგილობრივმა ერებმა თანასწორად და ერთგულად ხელი შეუწყონ, რათა იგი გაძლიერდეს და გალონიერდეს.

სეიმის სხდომის დასასრულს კ. ჩხეიძე კითხულობს ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარის **ევგ. გეგეჭკორის** განცხადებას: ვინაიდან ზავის საკითხმა უთანხმოება გამოიწვია მთავრობის წევრთა შორის, მთავრობას აუცილებლად მიაჩნია სამსახურიდან გადადგეს.

ასეთ განცხადების შემდეგ სეიმმა ერთხმად მიანდო ახალ კაბინეტის შედგენა აკ. ჩხენკელს.

სეიმი ხანგრძლივი ტაშით შეხვდა.

საზავო მოლაპარაკება.

ამიერკავკასიის სეიმმა 9 აპრილის სხდომაზე მოისმინა საზავო დელეგაციის თავმჯდომარის აკ. ჩხენკელის მოხსენება და დაადგინა:

სეიმმა მოისმინა მოხსენება საზავო მოლაპარაკების თაობაზე და წინადადებას აძლევს მთავრობას განაგრძოს საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან და მიიღოს ზომები, რათა სამხედრო მოქმედებები სწრაფად იქმნას შეჩერებული და ჩამოვარდეს ზავი; ამავე დროს მიღებულ იქმნას ზომები ქვეყნის დასაცავად.

ამიერკავკასიის ფედერატიული რესპუბლიკა.

ამიერკავკასიის სეიმმა 9 აპრილის ისტორიულ სხდომაზე შემდეგი რეზოლიუცია მიიღო:

1. გამოცხადებულ იქმნას ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერატიულ - დემოკრატიული რესპუბლიკა და ეცნობოს ეს სხვა სახელმწიფოებს.

2. დაევალოს მთავრობას კონსტიტუციის შემუშავება.

მთავრობის გადადგომა და ახალი მთავრობა.

სეიმის 9 აპრილის სხდომის დასასრულს კ. ჩხეიძემ წაიკითხა ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარის განცხადება:

,,ვინაიდან ზავის საკითხმა უთანხმოება გამოიწვია მთავრობის წევრთა შორის, მთავრობამ აუცილებლად მიაჩნია სამსახურიდან გადადგეს''

ამ განცხადების შემდეგ სეიმმა ერთხმად მიანდო ახალი კაბინეტის შედგენა აკაკი ჩხენკელს.

აკაკი ჩხენკელის დეპეშები.

ახალი მთავრობის თავმჯდომარემ აკაკი ჩხენკელმა რადიოდეპეშით უკვე აცნობა მთელი ქვეყნის სახელმწიფოებს, რომ ამიერკავკასია გამოცხადდა დამოუკიდებელ დემოკრატიულ-ფედერატიულ სახელმწიფოდ; ამასთანავე ერთად ჩხენკელმა აცნობა ოსმალეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარეს, რომ ამიერკავკასიის მთავრობას ჰსურს განაახლოს საზავო მოლაპარაკება: ხოლო ოსმალეთის ჯარების უფროსს ეცნობა, შეჩერებულ იქმნას საომარი მოქმედება, სანამ საზავო მოლაპარაკება დასრულდებოდეს.

ქართული პრესა

ამიერკავკასიის ეხლანდელი მდგომარეობის შესახებ გაზეთი „ერთობა“ სწერს:

„დემოკრატია ვალდებულია მომხდურს შესაფერი პასუხი გასცეს და მისი იერიშები ყოველი ძალღონით მოიგერიოს. აქ ორი აზრი არ შეიძლება. მარა როგორ შეიძლება ჩვენი ინტერესების და მომხდურთა მადის შეკვეცა?

რუსეთმა ზავი შეკრა ოთხთა კავშირთან და სხვათა შორის ოსმალეთთანაც. თუ ამიერკავკასია ნაწილია რუსეთის, ის მოკლებულია საშუალებას ამ ჟამათ თავისი საზღვრები დაიცვას, ვინაიდან რუსეთის ახლანდელმა მთავრობამ ომი შესწყვიტა და სრული დემობილიზაცია გამოაცხადა, განაგრძობს ასეთ პირობებში ამიერ-კავკასია ომს, ის საერთაშორისო უფლების ძალით აჯანყებულ პროვინციად გამოცხადდება, რასაც თანა სდევს ჩვენი ტყვეების უბრალო მეამბოხეებათ ჩარიცხვა. ეს ცოტაა. ამიერკავკასიის დემოკრატია არსებულ პირობებში მოკლებულია საშუალებას ოთხთა კავშირის სახელმწიფოებთან საზავო მოლაპარაკება გამართოს: რუსეთის პროვინციას არ შეუძლია საერთაშორისო სარბიელზე დამოუკიდებლად გამოსვლა და ამ გზით [illegible] ინტერესების უზრუნველყოფა. პირველსა და მეორე შემთხვევაშიაც ჩვენ დაგვრჩენია ერთად-ერთი გზა: ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის აღიარება“.

ჩვენს წინაშე ასეა საკითხი დასმული: ან რუსეთისაგან ჩამოშორება ან აღიარება დამოუკიდებლობისა, რომ ამნაირის გზით უზრუნველვჰყოთ ჩვენი მომავალი, ან ჩვენი დაპყრობა ოსმალეთის მიერ, როგორც რუსეთის ნაწილისა. ამ საკითხის გამო გაზეთი ასეთს პასუხს იძლევა:

ოსმალეთი წინ მოიწევს, ანადგურებს ხალხის სიმდიდრეს და რევოლიუციას ძირს უთხრის. თუ ვერ ურიგდება რუსეთის ბატონობას კავკასიონის ქედს აქეთ. ან დამოუკიდებელი ამიერკავკასიის რესპუბლიკა არა და ოსმალეთის დროშის დარიალის ხეობაში აფრიალება—ასეთია ოსმალეთისი და გერმანიის მიზანი. სანამ ძლიერი იყო რუსეთი, ჩვენ მის კალთებს ვეფარებოდით და მასთან ჭირსა და ლხინშიაც ერთად ვიყავით. ახლა კი დადგა საბედისწერო წუთი, როცა ჩვენ უნდა ვთქვათ, რა გვსურს ჩვენ: დამოუკიდებლობა თუ ოსმალთა მიერ დაპყრობა? ოსმალეთის ჩვენში გაბატონება რევოლიუციას დასამარებას უმზადებს. ეს ცოტაა. ეს მოასწავებს ჩვენი დემოკრატიის ფიზიკურათ განადგურებას. ასეთ პირობებში ჩვენ ვარჩევთ დამოუკიდებლობას.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ეს უებარი წამალია, რომელიც განკურნავს ხალხის ჭრილობებს და მას აღთქმის ქვეყანაში შეიყვანს. მარა ეს ამჟამად ერთად ერთი გამოსავალია. თუმცა ეს გზაც მრავალ ხიფათს გვიმზადებს.

ჩვენი დემოკრატია ვალდებულია მდგომარეობა შესაფერად ასწონდასწონოს, ის ეჭვს გარეშეა ამ გზას გაჰყვება და დამოუკიდებელ ამიერკავკასიის ფედერატიულ-დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეეცდება თავისი მიზნების განხორციელებას.“

* *

ამავე საკითხს ეხება ,,ერთობაში'' დ. ონიაშვილი, რომელიც სწერს:

ამ ბოლო დროს ამიერკავკასიის ცხოვრებაში შემოიჭრა ახალი ძლიერი ფაქტორი—ომი, რომელმაც ძალზე შეარყია ზემოთ აღნიშნული პოლიტიკური კურსი. თუმცა ომი მეოთხე წელიწადია რაც სწარმოებს, მაგრამ დღემდის ამიერკავკასია თითქოს მოშორებით იდგა და ვერ გრძნობდა მის საშინელებას. ტრაპიზონის საზავო მოლაპარაკების შეწყვეტის შემდეგ სურათი შეიცვალა. ერთის მხრივ ოსმალეთის ჯარი მოადგა ჩვენ საზღვრებს და მეორეს მხრივ ბოლშევიკები. ამიერკავკასიის მთავრობა იძულებული იყო ეწარმოებინა ომი ორ ფრონტზე. მაშასადამე, ამ საბედისწერო საათში უფრო აუცილებელი გახდა, ვიდრე წინათ, ყველა ერების შეკავშირება საერთო მტრების მოსაგერებლათ. მაგრამ სამწუხაროთ ეს არ მოხდა. ,,მუსავატმა'' თავიდანვე განაცხადა, რომ ოსმალეთთან ომის დროს ,,ნეიტრალიტეტს'' დავიცავო, ხოლო სომხის ჯარის ნაწილები ბაქოში ,,ბალშევიკებს'' შეუერთდენ. მაშასადამე მაშინ, როდესაც საჭირო იყო ყველა ძალების გაერთიანება, მოხდა ადგილობრივ ერების გათიშვა და ცალცალკე გზით სიარული. აი სწორედ ამან გამოიწვია ის ნერვიული მდგომარეობა, რომლითაც შეპყრობილია დღემდე მთელი საზოგადოება. ქვეყნის თავდაცვისთვის პირველად ყოვლისა საჭიროა აღფრთოვანება. ეს აღფრთოვანება აკლია ჩვენს ცხოვრებას. გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს ხალხმა არ იცის, ვინ აწარმოებს ომს და ვინ არის ამ დროს მისი ნამდვილი მოკავშირე. როდესაც გამოირკვა, რომ ასეთ პირობებში შეუძლებელია ადგილობრივ ძალებით ომის წარმოება, მაშინ ზოგიერთ წრეებში დაიბადა აზრი ისევ „რუსეთის ორიენტაციისა“. მაგრამ დღეს, როგორც ვიცით, რუსეთი არავითარ სამხედრო ძალას არ წარმოადგენს და მაშასადამე მისი ორიენტაციაც უსარგებლო და უნაყოფო ოცნებაა. ესეც რომ არ იყოს, როგორც ვიცით ბრისტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობას ბოლშევიკურმა რუსეთმა მოაწერა ხელი და პირდაპირ შეუძლებელია, რომ მისმა მთავრობამ დახმარება გაუწიოს იმას, ვინც არღვევს ამ ხელშეკრულობას. ამიერ-კავკასია ან ნაწილია რუსეთისა და მაშასადამე მან უნდა სცნოს ბრესტ ლიტოვსკის ხელშეკრულობა ან იგი დამოუკიდებელია და უნდა აწარ-

მოოს ომი დამოუკიდებლად. ასე დააყენა სინამდვილემ საკითხი. როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოდ ამიერ-კავკასიას არ შეუძლიან ოსმალეთთან ომი აწარმოოს, თუ მის შემადგენელ ერებში არ არსებობს ერთსულოვნობა. მაშასადამე, დაუყონებლივ უნდა დავადგეთ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობის ნიადაგზე. მაგრამ ამით არ წყდება ომის და ზავის საკითხი. ოსმალეთი მაინც განაგრძობს ომს და ბრძოლით წინ მოიწევს. მას უნდა დაიპყროს მთელი ამიერ-კავკასია და შექმნას აქ გარდუვალი საზღვარი თავის და რუსეთ შორის. როგორი პოლიტიკა უნდა ვაწარმოვოთ ჩვენ ამ დროს? აქ შეიძლება გამოვნახოთ ორი გზა: ან შევებრძოლოთ იარაღით ხელში ოსმალეთს და მაშასადამე მის მოკავშირეების ძალასაც, რომელნიც მის უკან დგანან, ან გამოვაცხადოთ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა. ამაში ძალზე დაინტერესებულია გერმანია, რომელიც ამიერ კავკასიაში ეძებს ეკონომიურ სარგებლობას. აი ამ გარემოებაში უნდა ვეძებოთ ახალი ორიენტაციის საფუძველი. ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას ეყოლება მუდამ ძლიერი დამცველი გერმანიის სახით, რომელიც არ მისცემს ოსმალეთს ნებას, რომ იგი უბრალო პროვინციად გადააქციოს. მაშასადამე, ის ვინც იცავს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას, ემხრობა არა ოსმალეთს, არამედ გერმანიის ორიენტაციას.

ბოლო ეღება მუდმივ რყევას და საძირკველი ეყრება ახალ ცხოვრებას. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა დღევანდელ პირობებში ნიშნავს არა მარტო „დამოუკიდებლობას“, არამედ ორიენტაციის შეცვლასაც.

რათ დასჭირდა ქართველ ერს ორიენტაციის შეცვლა? იმიტომ, რომ მას, როგორც პატარა ერს არ შეუძლიან უორიენტაციოდ ცხოვრება. ამ ასი წლის წინად რუსეთი მართლა ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა და პატარა საქართველომაც მას შეაფარა თავი. შეიძლება სხვადასხვა აზრისა ვიყოთ რუსეთის მნიშვნელობაზე საქართველოსთვის, მაგრამ ერთი კი აშკარაა ყველასთვის, რომ რუსეთმა ქართველი ერი ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა. დღეს, როდესაც ქართველი ერი დგას იმავე საფრთხის წინაშე და აღარ მოელის რუსეთიდან შველას, იგი ეძებს ახალ მოკავშირეს. რუსეთის ორიენტაცია გერმანიის ორიენტაციით იცვლება—ამაშია დღევანდელი მომენტის მნიშვნელობა. მაგრამ ორიენტაციის შეცვლა უბრალო პოლიტიკური საკითხი კი არ არის, არამედ—სულიერი განცდაც. საზოგადოებაში იბადება ერთგვარი ატმოსფერა, რომელიც ძალზე აღელვებს და აფიქრებს ყველას. ამით აიხსნება ის ჰამლეტისებური სულიერი რყევა, რომლითაც იყო შეპყრობილი დღემდის ჩვენი საზოგადოება. დღეს ასეთ სულერ მდგომარეობას ბოლო ეღება. აღსრულდა!.. რუბიკონი გადავლახეთ!..“

ახალი ამბავი

◆ **საფინანსო კრიზისი.** მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა წინადადება მისცა ქალაქის თვითმართველობას: საფინანსო კრიზისის გამო ქალაქში მიღებულ იქმნას ყოველივე ზომა ერთი კვირის ვადით დაარსდეს გადასახადი. აღმასრულებელი კომიტეტი იძლევა პირობას, რომ დახმარებას გაუწევს ქ. თვითმართველობას ამ საქმეში. ახლობელ სხდომის წესრიგში შეტანილ იქმნას საკითხი ძალდატანებითი სესხზე.

◆ **თელავიდან** ადგილობრივ პოლიტიკურ პარტიების შეერთებულ სხდომის თავმჯდომარე მაჭავარიანი მთავრობის თავმჯდომარეს აუწყებს. „ადგილობრივ პოლიტიკურ პარტიების შეერთებულმა სხდომამ დაადგინა—სთხოვოს სეიმს შეჰკრას ზავი ოსმალეთთან ბრესტ ლიტოვსკის ხელშეკრულობის თანახმად და დაიწყოს მობილიზაცია თავდაცვისათვის შემდეგ.

◆ **ყარსის მაზრის დუხობორები.** 9 დუხობორულ სოფლის მცხოვრებლებმა მიჰმართეს თხოვნით ამიერკავკასიის მთავრობას, რომ განათავისუფლონ ისინი ჯარში გაწვევისაგან, რომელიც უწევს მათ 24 მარტის კანონის ძალით, ისინი ასახელებენ შემდეგ მიზეზებს: პირველად იმას, რომ იმათ სარწმუნოება უკრძალავს ომში გასვლას. მეორედ იმას, რომ ყველა მცხოვრები ამ 9 სოფლის მიდიან თავრიდის გუბერნიაში.

◆ **სეიმი.** გუშინ ნაშუადღევის $1\frac{1}{2}$ საათზე სეიმის სხდომა გაიმართა. პირველ რიგში წვრილმან საკითხების შემდეგ სეიმი შეუდგა სამხედრო კომისიის კანონ-პროექტის განხილვას და ამის გამო სხდომა დახურულ კარებში სწარმოებდა.

◆ **ტფილისის დამცველ შტაბის** თავმჯდომარეს წინადადება მისცეს წაიკითხოს მოხსენება ზომების შესახებ, რომლებიც უნდა იყოს მიღებული იმ კონტრ-რევოლუციონერების წინააღმდეგ, რომლებსაც თავი აქვთ მოყრილი ტფილისში.

◆ **ახალციხის ბედი.** გენერალი არჯევანიძე ატყობინებს ამიერკავკასიის მთავრობას, რომ ქალაქ ახალციხეში სრული სიწყნარე ჩამოვარდა.

საიმედო ნიშნები

ჩვენი ცხოვრების გართულებულ მდგომარეობას როგორც სჩანს ეძებნება გამოსავალი გზა, რომ ნაკლებ მტკივნეულობით გადვიტანოთ ის დიდი ტვირთი, რომელიც მთელი თავისი სიმძიმით დააწვა ჩვენი ერის თავისუფლებას და რევოლიუციას. უკვე სჩანან სიმპტომები, რომ პოლიტიკურ ლაბირინტს თავს დავაღწევთ, და საერთაშორისო იმპერიალიზმის ცეცხლიდან გამოვიტაცებთ და გადავარჩენთ ჩვენი თავისუფლების წითელ დროშას. აქეთ უნდა იყოს მიმართული მთელი ჩვენი ენერგია. თუმც გვიან, მაგრამ მაინც ვადგებით იმ სწორ გზას, რომელიც უკეთეს პირობებში ჩააყენებს ჩვენს სახელმწიფო აღმაშენლობას, და გაძნელებულ ეროვნულ საკითხს გავსცემთ ჯეროვან პასუხს. უკვე ეღება ბოლო იმ პოლიტიკურ ულოღიკობას, რომელიც ახასიათებდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას, და მერყევ მდგომარეობაზე უარს ამბობენ ჩვენი ცხოვრების მეთაურები. ეს სასურველი მოვლენაა, და ჩვენც თანაგრძნობით ვეგებებოდით. ხდება ტეხვა იმ მრუდე წკეპლის, ჩვენ დირიჟორებს რომ ეპყროთ მაჩვენებელ ნიშნად. მაგრამ ამ დაწყებულ პროცესს დიდი მოვლა სჭირია. ფრთხილად უნდა მიუდგეთ რთულ კვანძის გახსნას, და ფხიზელ დარაჯად უნდა უდგეთ იმ პირ-ახდილ და პირბადიან მტრებს, რომელნიც გარე-და შინა ფრონტზე ხმალს გვილესავენ. ჩვენი ცხოვრება ახალ საფეხურზე აბიჯებს, და ამ ახალ ეტაპს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა ეწოდება. ეს ახალი აქტი ბევრ ძველ რუსეთის იმპერიალისტს გაულესავს მოჩლუნგებულ კბილს, აქტივობის გზაზედაც დააპირებენ გამოსვლას, რევოლიუციის ენითაც (ნამდვილად კი რეაქციონერთა ჟარგონით) ალაპარაკდებიან, და შეეცდებიან შინაურ განხეთქილების გამოწვევით, პან-რუსობის თესლის გადარჩენას. ეს შიგნით. გარეშე მტერი რომ არ ზოგავს არავითარ ძალას, და მუყაითად სცდილობს ბოლო მოუღოს ჩვენ თავისუფლებას, საქართველოს ყვავილოვან მკერდზე „ბრწყინვალე“ პორტას ბაირაღის ასაფრიალებლად. აქ ჩვენ გვმართებს ჩვენი ძალა-უნარის გაასკეცება.

ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა, უსათუოდ საქართველოს დამოუკიდებლობას იგულისხმებს. აუცილებლად შეიქმნება ქართული სახელმწიფოებრივობა, და საერთაშორისო ურთიერთობის ფერხულში ალბად ჩვენც ჩავებმევით. მაშინ გაიხსნება გზა ჩვენი ჩვენი ეროვნული ღონისძიებისთვის, ჩვენი შემოქმედებითი უნარი განთავისუფლდება უცხოთა „მზრუნველობისაგან“, და აქამდე პასიური ქართველი ერი აქტიურად გამოვა ცხოვრების სარბიელზე. დამოუკიდებელი ამიერკავკასიის პირველ საკითხად იქნება ზავის საკითხი. დამოუკიდებელი ამიერკავკასია ენერგიულად შეეცდება ბოლო მოუღოს ამ ომს, რომლის სისხლიან ფერხულში ჩაბმული არიან ჩვენი საუკეთესო ძალები, ჩვენი ახალი თაობა. ჩვენ ვიცით რომ ომი უბედურებაა, მაგრამ უნდა გავიგოთ ისიც, რომ ეს ომი ოსმალეთის მადა გახსნილ იმპერიალისტებმა მოგვახვიეს თავს. უნდა შევიგნოთ, რომ ამ ომის სამსხვერპლოზე ჩვენი თავისუფლების და თვით ქართველი ერის დაკვლას მოითხოვენ, და ვიდრე საზავო ხელშეკრულება არ მოხდება, ჩვენი ლაშქარი სასტიკ დარაჯად უნდა ედგეს სამშობლოს საზღვრებს. ჩვენ ვიცით რომ ხალხი მოქანცულია, ვიცით რომ ცხოვრების პირობები ილაჯს გვიწყვეტენ, და მიტომაც უპირველეს კითხვად საზავო მოლაპარაკებას ვაცხადებთ. ხოლო ზავის ჩამოგდებამდე, სრული შეგნებით უნდა ავიტანოთ ყოველგვარი შევიწროება, გვახსოვდეს რომ „მამულის დახსნის დღე არის“ და მდგომარეობის სიმძაფრეს შეგვიმსუბუქებს შეგნება იმის, რომ „თავისუფლების შოვნაი, სჯობს საშოვნელსა ყველასა“. მაშ ჩვენი ცხოვრების იმედიან გზას თავგამოდებით უდარაჯოთ, აღვადგინოთ სულის სიმტკიცე, და ჩვენი ეროვნული დროშის გარშემო დავრაზმდეთ ვაჟკაცურად. საომარ აბჯარში ჩავსხდეთ თავისუფლების დასაცავად.

ვახტანგ კოტეტიშვილი.

როგორ ეხმარება ბოლშევიკური რუსეთი ამიერკავკასიას

ჩვენში ჯერ კიდევ არიან ისეთი გულუბრყვილო ადამიანები, რომელთაც ჰგონიათ, რომ ბოლშევიკურ რუსეთს, რომელმაც ზავი შეჰკრა გერმანიასთან და ოსმალეთთან, შეეძლო რაიმე დახმარება გაეწია ამიერკავკასიისთვის ომის წარმოებაში. დიდი შეცდომა იყო ამის ფიქრი, რადგანაც მთავრობა, რომელმაც ხელი აიღო ომზე თავის თავისთვის, ახალ ომს არ გამოაცხადებდებდა ამიერკავკასიისთვის. ჩვენ იძულებული გავხდებით მხოლოდ ჩვენი ძალ-ღონით ვეომოთ ოსმალეთს და გერმანიას შემდეგშიაც, თუ ომი გაგრძელდა და საზავო მოლაპარაკება კეთილად არ დასრულდა, ჩვენ მხოლოდ ჩვენი საკუთარი ძალ-ღონის იმედი უნდა გვქონდეს. ეს გარემოება კი აუცილებელ საჭიროებადა ჰხდის ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

ჩვენ ეს თავიდანვე ძალიან კარგად ვიცოდით, მაგრამ ფაქტებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ბოლშევიკური რუსეთი ოსმალეთის მხარეზეა და არა ჩვენს მხარეზე, რომ იგი ჩვენი გულისთვის არამც თუ ომს ახლად არ გამოუცხადებს ოსმალეთსა და გერმანიას, პირიქით, ჩვენგანა თხოულობს დავემორჩილოთ იმ სამარცხვინო ხელშეკრულობას, რომელიც ბოლშევიკურმა რუსეთმა დასდო გერმანიასთან და ოსმალეთთან.

ამ მხრით ფრიად საყურადღებოა ის ცნობები, რომლებიც ირაკლი წერეთელმა გადასცა მუშათა საბჭოს. მან განაცხადა, ჩვენ მივმართეთ ცენტროფლოტს, რომელიც დაგვპირდა გემებს გამოგიგზავნით ბათომის დასაცავადაო, მაგრამ გემები მაინც არ გამოგზავნა. უფრო მეტიც: ჩვენმა რადიო სადგურმა დაიჭირა რადიო დეპეშა ცენტროფლოტისა, რომელიც ატყობინებს გერმანიას, პირობას გაძლევ, რომ გემებს ნავთ-სადგურიდან არ გავიყვანთო. გარდა ამისა, სახალხო კომისართა საბჭო, ე. ი. რუსეთის ეხლანდელი მთავრობა თხოულობს ჩვენგან, აუცილებლად უნდა აღიაროთ ბრესტ-ლიტოვსკის ხელ-შეკრულებაო.

სახალხო კომისართა საბჭოს წარმომადგენელი იოფფე ატყობინებს ამიერკავკასიის მთავრობას, თქვენ უპირველესად ყოვლისა უნდა აღიაროთ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობა და მერე, თუ ოსმალეთმა დაარღვია იგი, ჩვენ ნოტას გაუგზავნით გერმანიასაო. გამოდის, რომ მთელი დახმარება რუსეთისა იმაში გამოიხატება, რომ იგი ეტყვის გერმანიას, რად არღვევ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებასაო.

ყველა ამ ცნობებიდან ჩვენ მხოლოდ ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ ბოლშევიკურს რუსეთის მთავრობას, რომელმაც შეჰკრა ზავი გერმანიასთან და ოსმალეთთან, არავითარი სურვილი არა აქვს ჩაერიოს ომში, აქტიურად დაგვეხმაროს იმ ბრძოლაში, რომელსაც აწარმოებს ამიერკავკასია და საქართველო. აქედან ჩვენ მხოლოდ ერთი დასკვნა შეგვიძლიან გამოვიყვანოთ: ჩვენ არაფერი საერთო არ შეიძლება გვქონდეს იმ სახელმწიფოსთან, რომელმაც ბრძოლის დროს მარტო დაგვტოვა და მიემხრო იმ სახელმწიფოებს, რომელთანაც ჩვენ ბრძოლას ვაპირებთ,—გერმანიასა და ოსმალეთს. ასეთი დამოკიდებულება რუსეთისა ჩვენდამი თავის ლოღიკურ დასკვნას მოითხოვს: ჩვენ უნდა ჩვენის საკუთარის ძალ-ღონით გამოვსძებნოთ გზა ხსნისა და ეს გზა კი არის ამიერკავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. რახან რუსეთს აღარა ჰსურს აქტიურად დაგვეხმაროს ოსმალეთთან ბრძოლაში, რაკი იგი, პირ-იქით, მოითხოვს ჩვენგან დავემორჩილოთ გერმანიის იმპერიალისტების მიერ ნაკარნახევ ზავის პირობებს, ჩვენ ჩვენის დამოუკიდებელის გზით წავალთ და საფუძველს ჩავუყრით ამიერკავკასიის დამოუკიდებელ ფედერატიულ რესპუბლიკას, რაც დღეს უკვე აერთიანებს ამიერკავკასიის ერებს ძმურს, მეგობრულს კავშირში.

„ბორბა“ და „ერთობა“

არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს იმ გარემოებას, რომ სულ სხვა და სხვანაირ მიმართულებას ადგანან „ბორბა“ და „ერთობა“,—ეს ორი გაზეთი ერთი და იმავე სოციალ-დემოკრატიული პარტიისა. იმ დროს, როდესაც „ერთობა“ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის ნიადაგზე სდგას, მდგომარეობას ადგილობრივი დემოკრატიის ინტერესების თვალსაზრისით აშუქებს და ჰსურს ჩვენი ხალხი და ქვეყანა გადაარჩინოს იმ უბედურებას, რომელსაც შექმნილი მდგომარეობა უქადის, რუსული სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ბორბა“ მხოლოდ **რუსული** ინტერესების თვალსაზრისით აშუქებს საკითხს და მოითხოვს ომის გაგრძელებას მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთის შეცდომები გამოასწოროს ამიერკავკასიის ერებმა და ეხლა კი, როგორც სჩანს, მხოლოდ ქართველმა ხალხმა, რომელსაც უნდა დააწვეს მთელი სიმძიმე ომის უბედურებისა. იმ დროს, როდესაც რუსეთმა, ბოლშევიკურმა რუსეთმა, უკვე გაათავა ომი გერმანიასთანა და ოსმალეთთან, გაათავა ომი წინააღმდეგ იმ დემოკრატიული ჯგუფების სურვილისა, რომლებსაც შეუძლებლად მიაჩნდათ ომის გათავება, იმ დროს, როდესაც ოფიციალურად რუსეთსა და გერმანიას შორის ომი გათავებულია, რუსეთის ლიბერალები და მათი ამყოლ-დამყოლნი ჩვენში მოითხოვენ ომის გაგრძელებას და მოითხოვენ არა იმიტომ, რომ ამ ომს რაიმე პოლიტიკური სარგებლობა მოაქვს ჩვენთვის, არამედ იმიტომ, რომ ომის გაგრძელებით მათ სურთ ერთგვარი **მაგალითი** უჩვენონ რუსეთის დემოკრატიას, რომელიც ასცდა სწორ გზას და გერმანიასთან სამარცხვინო ზავის შეკვრით იყიდა პოლიტიკური ბატონობა ბოლშევიკებისა. აი ამ ნიადაგზე სდგას რუსული სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ბორბა“.

მაგრამ დღეს მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ამიერკავკასიის ერებს აღარა ჰსურთ კუდში სდიონ იმ სახელმწიფოს, რომელმაც ამიერკავკასია გაჭირვების დროს პირში მისცა გერმანიასა და ოსმალეთს. ამიერკავკასიის ერებს საშუალება ეძლევათ, დამოუკიდებელი მოლაპარაკების გამართვით ოსმალეთთანა და გერმანიასთან ჩამოვაგდოთ ზავი და მშვიდობიანობა. ჩვენ არ შეგვიძლიან წინდაწინვე ვსთქვათ, რომ ეს მოლაპარაკება კეთილად დაგვირგვინდება. ჩვენ არ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ დიპლომატიურის მოლაპარაკებით მოვსპობთ ყოველგვარ არა სასიამოვნო შედეგებს ომისას, მაგრამ ჩვენ მაინც არ შეგვიძლიან არ მივიღოთ ყოველივე ზომა, რომელიც კი შესაძლებლად გაჰხდის ომის ლიკვიდაციას, ომის გათავებას ჩვენდა სასარგებლოდ. ერთი ამნაირი საშუალებათაგანია ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება. ჩვენ დამოუკიდებლად გამოვალთ საერთაშორისო მოლაპარაკების სარბიელზე, მსგავსად უკრაინისა და ფინლანდიისა და ყოველ ღონისძიებას მივიღებთ, რომ ჩვენი ქვეყანა გადავარჩინოთ ომის საშინელებას. და თუ ამ ცდამ ნაყოფი ვერ გამოიღო, მაშინ ჩვენ ვიბრძოლებთ ჩვენი საკუთარი თავისუფლებისთვის და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ, მაგრამ ჩვენს თავისუფლებას კი არავის დაუთმობთ. თუ დავმარცხდით, მთელი ქვეყნის წინაშე წავრსდგებით, როგორც დამოუკიდებლობისთვის მებრძოლნი. ამავე ნიადაგზე სდგას ამ ჟამად სოციალდემოკრატიული გაზეთი „ერთობა“, მაგრამ მისი რუსული გამოცემა „ბორბა“ სულ სხვა ჰანგებზე მღერის და ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება

რუსეთის გაზეთებში შემდეგი დაწვრილებითი ცნობებია ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების შესახებ.

მე-5 პუნქტის შეთანხმების დროს გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარემ შემდეგი განმარტებები დაურთო: ამ პუნქტში ლაპარაკია ოსმალეთის არა იმ სამ ოლქზე, რომელიც ომის დროს დაიკავეს, არამედ აღმოსავლეთ ანატოლიის სანაპიროებზე. ეს გამოწვეულია იმით, რომ ჩვენ ზოგიერთი ნაბიჯის გადადგმა გვინდოდა არტაანის, ყარსის და ბათომის შესახებ, რომელიც რუსეთისთვის უნდა დაეთმო 1878 წელს ოსმალეთს: ეს საჭირო იყო იმიტომ, რომ როდესაც ეს პირობები მუშავდებოდა, ამ ადგილებიდან, როგორც თვით სტამბოლიდან, ადგილობრივი მაჰმადიანები იმუდარებოდნენ და თხოვნებს გზავნიდნენ ბერლინში ისინი დახმარებას ითხოვდნენ უსამართლო მოქმედების წინააღმდეგ, რომელსაც სჩადიოდნენ სამხედრო ნაწილები: ისინი ან რუსები იყვნენ ან ასეთებად მოჰქონდათ თავი. ისინი (ადგილობრივი მაჰმადიანები) დაჟინებით სთხოვდნენ ოსმალეთისა და ბერლინის მთავრობებს, რათა მათ საშუალება მისცემოდათ კვლავ შეერთებოდნენ ოსმალეთს.

ოსმალეთის მთავრობა იძულებული იყო თავის დროზე დაეთმო რუსეთისათვის ეს ოლქები, რადგან მას არ შეეძლო დიდი სამხედრო კონტრიბუციის გადახდა, რომლის დადებასაც აპირებდნენ. ამ ოლქებს მაჰმადიანთა მთავრობა დღესაც ოსმალოდ სთვლის თავის თავს და ამ ოლქების დათმობას უყურებს ისე, როგორც მცხოვრებთა გაყიდვას ფულზე. ამის გამო ჩვენთვის სასურველი იყო იმ ტექსტში, რომელიც აღმოსავლეთ ანატოლიის პროვინციების გაწმენდას შეეხებოდა ჩაგვერთო სიტყვები „აგრეთვე არტაანის, ყარსის და ბათომის ოლქები“, ჩვენ ამაზე უარი განვაცხადეთ, რათა ვისმე ეჭვი არ შეეტანა, რომ ჩვენ ანექსიონისტური მისწრაფებებით ვხელმძღვანელობთ. ამის გამო მე 4 მუხლის მესამე აბზაცი საზავო ხელშეკრულებისა მხოლოდ შემდეგი წინადადებებია: არტაანის, ყარსის და ბათომის ოლქებიდან დაუყონებლივ უნდა გავიდეს რუსის ჯარი; რუსეთი არ ჩაერევა ამ ოლქების სახელმწიფოთა ახალი ორგანიზაციის მოწყობაში და მათ საერთაშორისო მდგომარეობაში, და შეძლებას მისცემს ამ ოლქების მცხოვრებთ მოაწყონ ამ ოლქების ახალი ორგანიზაცია მეზობელ სახელმწიფოებთან შეთანხმებით, განსაკუთრებით ოსმალეთთან.

ქუთაისის ცხოვრება

31 მარტი ქუთაისში მღელვარებით გათენდა. დილიდანვე ასტყდა განუწყვეტელი ზარების რეკა, ამას ზედ დაერთო მატარებლებისა და რკინის გზის „დეპოს“ სასოწარკვეთილი კივილი.

არავინ იცოდა რა უბედურებაც გვადგა თავზე. წინაღამით დეპეშებმა და გაზეთებმა დამამშვიდებელი ამბავი მოგვიტანა დროებითი ზავისა და ომის შეჩერების შესახებ, დილით კი ასეთი გლოვის ზარი დასტრიალებდა მთელს ქალაქს.

მცხოვრებნი ქალაქის ბაღისკენ გაეშურნენ.

გამოირკვა ბათომის მოსალოდნელი მწარე უბედურების ამბავი.

გუბერნიის კომისარმა ხალხს მიმართა. დღეს თორმეტ საათზედ ბათომი ან ოსმალებს უნდა გადავცეთ ან ხელ-ხლა დაიგრიალებს ზარბაზნებიო.

მოუწოდა ხალხს ყოველგვარი დახმარებისაკენ და მოსთხოვა მობილიზაციის ერთსულოვნად ჩატარება.

ხალხი მწარედ დაღონდა.

ბევრი გაეშურა იმ დღესვე ბათომის მისაშველებლად, მაგრამ მრავალმა მათგანმა უკვე ვეღარ ჩაუსწრო ბათომს ცოცხალს, იგი სწრაფის სიკვდილით მომკვდარიყო ქართველი ერისთვის, საქართველოს ნორჩი თავისუფლებისათვის...

⁂

2 აპრილს მობილიზაციაა დანიშნული. ხალხი წინადღით აღელვებული ხალისიანად აპირებს ჯარში გასვლას.

მაგრამ დახეთ ბედის დაცინვას! ქუჩებში თავმოყრილია ხალხის ჯგუფები. ისმის აღელვებული ბრაზმორეული ლაპარაკი.

... ბათომი ოსმალებმა აიღეს!—ამბობს ვიღაცა.

— დაუჯერებელი ამბავია, ტყუილი. უყვირას მოსაუბრეს ხალხი.

— ჭორია, პროვოკაციაა, რომ დღევანდელი მობილიზაცია ჩაიშალოს, არ უგდოთ ყური, შენიშნა ვიღაცამ.

ზოგ ადგილას საქმე პირად შეურაცხყოფამდე მივიდა. არავის სჯეროდა და მართლაც ასეთი დაუჯერებელი და საოცარი ამბავი.

— მე თვით ვიდექი ბატარეიაზედ— ამბობს ერთი ნაცნობი ოფიცერი. მიბრძანეს იარაღები გააფუჭეთ და თავს უშველეთო. ზარბაზნები გავაფუჭეთ და ქალაქი ოსმალებმა დაიკავესო.

მაშ მართალია ყოველივე ეს?.. ნუ თუ ქართველმა ერმა რომელსაც ყველა ომებში ვაჟკაცობის სახელი აქვს მოპოვებული, ვინც ვისლის ნაპირებზედ და შორეულ ვარშავის ჭაობიან ადგილებში გმირულის ბრძოლით ძლევამოსილი მტერიც კი გააკვირვა, დღეს აქ თვის სამშობლოში მამა-პაპათა საფლავთა სიახლოვეს, საქართველოს ერთად ერთი თანამედროვე ციხე ცხრა საათის განმავლობაში მტერს ჩააბარა!..

რითი ან როგორ გამოისყიდოს ქართველმა ერმა ეს სირცხვილი, დამცირება და თავის მოჭრა?!..

დღევანდელი ჩვენი უბედურების მიზეზი მრავალია და მრავალჯერაც იყო იგი თავის დროზედ აღნიშნული, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ჩვენ დღესაც მარტო სიტყვებს არ გავსცილებივართ და დღევანდელ მილიტარისტულ ომს სიტყვა მფრქვეველი იარაღებით ვაწარმოებთ..

⁂

5 აპრილს დილით ზეკარის უღელტეხილზედ 1500 მდე შეიარაღებული თათარი გამოჩნდა და ჩვენს პარტიულ რაზმს ბრძოლა აუტეხა. ბრძოლამ მთელი დღე გასტანა.

რაზმს აკლია 25 კაცამდე. მათში ვის რა მარცხი მოუვიდა ამ წუთში გამოკვლეული არ არის, ფიქრობენ კი რომ უმეტესობა ტყვედ უნდა იყოს წაყვანილი. სხვათა შორის არსადა სჩანს მასწავლებელი გ. ჯუბურიძეც.

ზეკარის უღელტეხილს თავიდანვე ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ჩვენებური ნაცნობი დაუდევრობის წყალობით.

გუბერნიის მმართველს ნამდვილად მართებს სასწრაფო ზომები მიიღოს და უზრუნველ ჰყოს ის თავგანწირულნი მებრძოლნი, რომელნიც ბაღდადსა და ქუთაისს თავისი სიცოცხლის საფასურით იცავენ...

⁂

ოზურგეთში წითელი გვარდიის უფროსი და რამდენიმე სხვა პირიც მოუკლავთ.

ბანძაში „ბოლშევიკურ“ ჯარებსა და წითელ გვარდიის შორის ფორმალური ომია. ჯუღელის რაზმი მათ ზარბაზნებს უშენს. ზარბაზნის ხმა მაღლაკსა და ხონში მოისმის თურმე.

ბოლშევიკები ნოქალაქევში გამაგრებულან.

ასე თავგამოდებით ებრძვიან ბედნიერი საქართველოს ერთგულნი შვილნი ამ საბედისწერო ჟამს გარეშე და შინაურ მტრებს.

ჯაფარ-ფაშა.

მოწერილი ამბები.

ქ. ფოთი. თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ქალაქში პური აღარ იშოვება. მცხოვრებლები სრულ სიმშილს განიცდიან. შველა არსაიდან სჩანს. სასურსათო კომიტეტმა და ქალაქის თვითმართველობამ სანოვაგის საკითხს ვეღარ მოუარა, ხალხი ღვთის ანაბარად დასტოვა. მეზღვაურ-ბოლშევიკები ლაპარაკობენ, რომ სანამ ჩვენ კომისრების ძალა-უფლებას არ აღიარებთ ჩვენ პურს არ მოგცემთო; სოხუმში ჩვენ დაგვმორჩილდა და კიდევაც პური აქვთო და სხ.

პირველ აპრილიდან ქალაქში საალყო წესები გამოაცხადეს. ყოველნაირი გასართობები: ცირკი, ილუზიონი და სხ. დახურეს. მცხოვრებლები შიშის ზარით არიან მოცულნი, ვინაიდან დღითი-დღე ევაკუაციას მოელიან.

ბათომის პარტიული ბიურო გადმოვიდა აქ და ჯერ-ჯერობით იმყოფება ჩვენს ორგანიზაციის კლუბში

ქალაქის თვითმართველობა გადავიდა ახალ ბინაზე და მოთავსებულია დროებით საქალაქო გიმნაზიის დარბაზში.

30 მარტს სასწავლებლებში მეცადინეობა შეწყვიტეს ვაჟების გიმნაზია ჯარისკაცებმა დაიკავეს.

ბათომიდან მრავალი გამოქცეული მოაწყდა ფოთს. უკანასკნელი საერთაშორისო ქალაქად გადაიქცა. ყოველნაირ ჯურის ხალხი დათარეშობს თავისუფლად შეხვდებით როგორც თათარს, გერმანელს და სხ. აგრედვე აშკარად იცნობთ კონტრ-რევოლიუციონერებს.

ბანძა. ისეთ ჟამს, როდესაც საქართველოს საბედისწერო დღე დაუდგა, როდესაც მტერი გასანადგურებლად მოდის, ჩვენში იმის მაგივრად, რომ შეექმნათ ერთი მჭიდრო ორგანიზაცია ძმობა, ერთობა, შინ მშვიდობა,— ექსცესები ფართოდ მოედო ბნელ მასას და ისედაც რთული მდგომარეობა გართულდა. ყაჩაღების, ხულიგნების და დეზერტირების ბრბო შეეფარა ბოლშევიკურ ლოზუნგებს, ამღვრია წყალი და შეუდგა თევზის დაჭერას. თანდათან იმარჯვებს მათი

იდეალები, თანდათან ილუპება სამშობლო და რევოლიუცია შინაურ არევდარევას ერთვის ოსმალეთის იმპერიალისტების ულტიმატუმი, საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი, რომელმაც აამოძრავა თითქმის ყველა კუთხე სამშობლოსი.

საერთო ფერხულში ვერ ჩაერია ს. ბანძა, ეს მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილი ელმოსავლეთ სამეგრელოსი. ბანძელებმა დახმარების ნაცვლად მახვილი ჩასცეს ზურგიდან მეომარ რევოლიუციონურ დემოკრატიას, უღალატეს სამშობლოს და რევოლიუციას.

ფრიად სამწუხარო ფაქტია! ბანძამ ჩირქი მოსცხო მთელ სამეგრელოს, მკვიცხლ მეგრელებს. რაშია საქმე?

ბანძის მცხოვრებნი გულგრილად დაუხვდნენ თავდაცვას და მობილიზაციას. ფრონტიდან გამოქცეულ ჯარის კაცთა პროვოკაციულმა აგიტაციამ ისე იმოქმედა მათზე, რომ ბანძელებმა ამჯობინეს ნაძრახი სიცოცხლე სახელოვან სიკვდილს. შეიარაღდნენ მიემხრნენ კონტრ-რევოლიუციონერების და... აჯანყდნენ! 1 აპრილს მოძრაობის ჩასაქრობად ქ. ახალსენაკიდან გაემართა ბანძაში ერთ-ერთი პოლკი მძიმე არტილერიით. სხვა და სხვა მიზეზების გამო პოლკი კვლავ დაბრუნდა უკან. პოლკის დაბრუნებამ ფრთები შეასხა ბანძელებს, გაითქვეს სახელი და დღითი-დღე იზრდებოდა მათი საომარი ძალები. ემატებოდათ ანტი-რევოლიუციონერები, და ძმანი მათნი. დაიკავეს ძველი სენაკი და დაემუქრნენ ახალსენაკსაც. ახალსენაკის მცხოვრებნი არა ლეგალურ მდგომარეობაში ჩააყენა ბარბაროსების შემოსევამ ადგილობრივმა მთავრობამ კვლავ გაგზავნა ჯარი 5 აპრილს ბანძის დასაპყრობად. ჯარის მოქმედება ჯერჯერობით კარგად მიმდინარეობს. „ბოლშევიკებმა" ძველი სენაკი დასტოვეს უსისხლოდ და გამაგრდნენ ნოქალაქევში, სადაც მათ შესაფერისი სიმაგრეები აქვთ. ჩვენ ჯერ არ ვიცით საქმე რით დამთავრდება, მაგრამ ერთი რამ ცხადია ბანძელ „ბოლშევიკების" უტაქტიკო გამოსვლამ ხელი შეუწყო ოსმალეთის იმპერიალისტებს და ჩვენს სამშობლოს გამოაცალა თვალის ჩინი—ბათომი.

მოხალისე ჯ.-კაცი გ. მუშიშვილი.

თფილისში მცხოვრებ გურულებს

ამიერ-კავკასიის დემოკრატიის სურვილი ოსმალეთთან ზავის ჩამოსაგდებად უნაყოფოდ დამთავრდა. ჩვენი ქვეყანა საერთაშორისო ომის ფერხულშია ჩაბმული და პატარა გურია ბრძოლის ველად გადაიქცა. ჩვენ არ ვიცით, რითი გათავდება ეს საშინელი ომი, მაგრამ ერთი რამ ყველასთვის აშკარაა: ომი და მისგან გამოწვეული უბედურება დიდხანს იარსებებს.

ყოველი მოქალაქე ვალდებულია დაეხმაროს თავის ხალხს, შესწიროს საერთო საქმეს ის, რაც მის ხელთ არის.

ტფილისში ბევრი გურული ცხოვრობს, რომელიც კანონით სამხედრო ბეგრისგან თავისუფალნი არიან, მაგრამ სურვილი და შეძლება აქვთ თავის ქვეყანას დაეხმარონ.

ამისთვის ამ წლის სამ აპრილს გურულების კრებამ ტფილისში დაადგინა დაარსოს **გურიის თავდაცვის დამხმარე საზოგადოება**, რომელიც ხელს შეუწყობს ომის საქმეს და ომისგან დაზარალებულებს დახმარებას აღმოუჩენს. კრებამ უკვე აირჩია კომიტეტი, რომელიც საზოგადოების საქმეს აწარმოებს. წესდების მთავარი მუხლები ასეთია:

წევრებად მიიღება ყველა, ხოლო გურულებისთვის სავალდებულოა, რადგან დღეს უმთავრესად გურიას ადგია გასაჭირი. მაგრამ საზოგადოება დახმარებას გაუწევს საქართველოს ყოველ კუთხეს საჭიროების და მიხედვით. გურიის დამხმარე კომიტეტი მოუწოდებს ყველას შემოიტანონ დაწესებული გადასახადი და ვისაც ომში წასვლა შეუძლია ან მეომრად, ან სანიტარად, ჩაეწეროს კომიტეტში. კომიტეტი დარწმუნებულია, რომ თქვენ პირნათლად შეასრულებთ თქვენს მოქალაქობრივ მოვალეობას.

კომიტეტი დროებით იმყოფება „ერთობის" რედაქციის შენობაში, გოლოვინის პროსპ. № 12. გადასახადის და შემოწირულების შეტანა და ჩაწერა სწარმოებს ყოველ დღე საღამოს 4—7 საათამდე.

გურიის დამხმარე კომიტეტი.

ერთი მახინჯი ქართულ უნივერსიტეტსაც ჰყოლია.

კვირის „ერთობის" 81 ნომერში მოთავსებულია ვიღაც თ. თოთიბაძე-გრიაზნოვის წერილი „სამწუხარო სინამდვილის" სათაურით, სადაც ავტორი მოუთხრობს მკითხველს, თუ ქართული უნივერსიტეტის სტუდენტობამ როგორ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა და გადასწყვიტა სეპარატიული ზავის შეკვრა ოსმალეთთან.

უნდა თავიდანვე განვაცხადო, რომ მთელი ამ წერილის შინაარსი და მით უფრო ის ადგილი, სადაც ლაპარაკია ზავზე, სრული სყალბეა. წერილის ავტორი გაჯავრებულია იმ გარემოებით, რომ უნივერსიტეტში ლექციების მოსასმენად მოსულს კრება დახვედრია, მაგრამ ამ საყვედურს ადვილად აიტანს კაცი. უფრო საყურადღებოა ის ადგილი, სადაც ავტორი უნივერსიტეტის მიერ გამოტანილ რეზოლიუციას ეხება და შემდეგს სწერს: „მთელი სტუდენტობის სახელით გამოიტანეს დაახლოვებით შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია: „საქართველო გამოიყოს ცალკე ერთეულად, შექმნილ იქმნეს ეროვნული მთავრობა და მიენიჭოს მას სუვერენობა, რომ შეკრას ოსმალეთთან სეპერატიული ზავი". ქვევით ავტორი განმარტავს, რომ ჩვენი ასეთი გადაწყვეტილება ოსმალეთისთვის სასურველი და ხელსაყრელი იქნება, რადგან მთელი კავკასია ოსმალეთს თურმე ყელზე დაადგება და ცალცალკე უფრო მალე ჩაგვყლაპავსო. ახალი აღმოჩენაა! თურმე თოთიბაძე-გრიაზნოვის მეტმა აღარავინ იცის, რომ მთლიანობა სჯობია დაქსაქსვას, თუ კი ეს შესაძლებელია, მაგრამ ჩვენი ბრალია თუ ის სინამდვილეს ვერ ხედავს და ბეცი პოლიტიკოსია. დღეს არა თუ კავკასიის, ამიერკავკასიის მთლიანობაც აღარ არსებობს სინამდვილეში და ეს აბავი ბავშმაც კი იცის, მხოლოდ თუ ჩვენმა მოწინააღმდეგემ არ იცის, ეს ჩვენი დანაშაული არ არის. და რომ ნათელვყოთ ის სიყალბე, რომელიც ჩაიდინა თოთიბაძე-გრიაზნოვმა დადგენილების შესახებ, მე ნებას მივცემ ჩემს თავს მოვიყვანო სიტყვა-სიტყვით ის დადგენილება, რომელიც გამოიტანა კრებამ და რომელიც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში იყო მოთავსებული და ამასთანავე ვთხოვ ამხანაგ კრების მდივანს მოათავსოს გაზეთში ერცელი ოქმი საკითხის მთლიანად გასაშუქებლად. აი დადგენილებაც:

„მიმდინარე წლის 4 აპრილს, ქართულ უნივერსიტეტის დარბაზში მომხდარმა ქართველ სტუდენტთა საერთო კრებამ, მოისმინა მოხსენება საქართველოს საერთო პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ და კერძოდ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ გარეშე ქართველი ერისა საქართველოსათვის არავითარი სხვა რეალური ძალა არ არსებობს, დაადგინა: მოხდეს ძირითადი ცვლილება მართვა-გამგეობის საქმეში, აღიარებულ იქმნას სახელმწიფოებრივობა ქართველი ერისა და ასეთმა სახელმწიფოებრივმა ერთეულმა შეასრულოს სახელმწიფოთა ფორმაციისათვის სავალდებულო საერთაშორისო ყველა იურიდიული წესები. ეს უფლება განახორციელოს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, რომლის მიერ არჩეულ მთავრობას, სანამ მოწვეულ იქნებოდეს საქართველოს დამფუძნებელი კრება, მიენიჭოს დროებითი მთავრობის ფუნქციები.

ასლი ამ დადგენილებისა ეცნობოს ამიერკავკასიის სეიმს, მთავრობას, საქართველოს ეროვნულ საბჭოს და ქართულ პოლიტიკურ პარტიებს".

მე მგონი მკითხველი დარწმუნდება იმ სითაღლითეში, რომელიც ჩაიდინა „ერთობაში" მოთავსებულ წერილის ავტორმა და ამით თვით რედაქცია შეიყვანა შეცდომაში. აქვე ვაცხადებ, რომ როგორც რეზოლიუციაში ისე კრებაზე ერთი სიტყვაც არ თქმულა სეპერატიულ ზავის შესახებ. პირიქით სტუდენტობამ ერთხმად დაადგინა დაუყოვნებლივ ჩაეწეროს ეროვნულ ნაწილებში და წავიდეს ფრონტისაკენ. მაგრამ ყოველივე ის მისთვის დასჭირდა თოთიბაძე—გრიაზნოვს, რომ საზოგადოებაში მაინც როგორმე დაეცა ქართული უნივერსიტეტის პრესტიჟი, ვინაიდან მათ არავითარი გასავალი არ აქვთ ქართულ უნივერსიტეტში. ქართველმა სტუდენტობამ ზურგი შეაქცია მათ უნიადაგო კოსმოპოლიტიზმს და საკუთარი გზით იწყო სიარული.

ამის შემდეგ, წერილის ავტორი უფრო უტიფრად და უსინიდისოდ, დასცინის სტუდენტობის უწიკვლო იდეებს და კითხულობს: რა შეუძლიან მისცეს ოსმალეთმა ჩვენს ხალხს გარდა მონობისა?" მისი აზრით ეს მონობა კი გამოსადეგია იმ კლასისათვის, რომელსაც პრივილეგიები წაართვა რუსეთის რევოლიუციამ და ოსმალეთი დაუბრუნებს მათ ამ პრივილეგიებს და ამიტომ მიილტვიან ოსმალეთის ორიენტაციისაკენო.

არ შემიძლიან უკმაყოფილება არ გამოუცხადო იმ ადამიანს, რომელიც ბედავს ჩირქი მოსცხოს ქართველ სტუდენტობას, რომელიც მუდამ და ყოველთვის ყოფილა საუკეთესო იდეალების მატარებელი და მისთვის მებრძოლი. განა დამცირება არ არის იმ სტუდენტობის რომელიც რუსეთში პირველ რევოლიუციონერად ითვლებოდა და აქ კი პრივილეგიის მაძიებლად უნდა დაისახოს.

მე მგონია დადგა დრო, როდესაც უნდა აილაგმოს ისეთი უპასუხისმგებლო პირები როგორიც თოთიბაძე-გრიაზნოვი აღმოჩნდა. კმარა ეროვნული გრძნობის და მისწრაფების მასხრად აგდება. დღეს მგონებ ყველასათვის ნათელია შედეგები ეროვნული ნიჰილიზმისა და ეს ერთად-ერთი ადგილი, ქართული უნივერსიტეტი მაინც ნუ იქნება შერყვნილი ამ ნიჰილისტებისაგან.

დასასრულ ქალბატონი თოთიბაძე-გრიაზნოვი მწუხარებას გამოსთქვამს იმ სინამდვილის გამო. რომ ცხრა მეათედი ქართულ უნივერსიტეტის სტუდენტობისა ხელში იღებს მის მიერ დასახელებულ ოსმალეთის ორიენტაციის ინიციატორობას და მთელი სტუდენტობის სახელით გამოაქვს მათი მისწრაფების შესაფერი რეზოლიუციაო ამის გამო პროტესტს აცხადებს თოთიბაძე-გრიაზნოვი და ემუდარება რედაქციას ეს პროტესტი მოუთავსოს გაზეთში. რასაკვირველია, გაზეთი „ერთობაც" ხომ უკან არ დაიხევს ასეთ პროტესტებზე თუ ის ეხება ან იმ დაწესებულებას, სადაც მათ ნიადაგი არა აქვს ან და იმისთანა ხალხს, რომელიც მათ თეორიებს არ იზიარებს. მხოლოდ აქ სინამდვილის აღსადგენათ საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, შემდეგი: ქართულ უნივერსიტეტში, დღეს თითქმის 600 მდე მსმენელი ითვლება, საზოგადო კრებას, რომელმაც გამოიტანა ჩემს მიერ დასახელებული რეზოლიუცია დაესწრო დიდი უმრავლესობა და ამათში მხოლოდ 2 აღმოჩნდა მახინჯი გონების პატრონი, რომელთაც ხმა მისცეს წინააღმდეგ და 9 კაცმა კი თავი შეიკავა.

ალბად ამ უკანასკნელმა უფრო გაამწარა ქალბატონი თოთიბაძე-გრიაზნოვი. მას ალბად უფრო დიდათ წარმოედგინა თავისი რაზმი. ბ. ირამაშვილმაც ამ იმედით განაცხადა სოც.-დემოკრატიული ფრაქციის სახელით უარი, კენჭის ყრაში მონაწილეობის მიღებაზე, მაგრამ მის ფრაქციაში მხოლოდ 6 თუ 7 კაცი აღმოჩნდა. ამიტომ ისიც „დაყუჩდა. რაც შეეხება იმედაშვილის ლანძღვას ეს მისი საქმეა, მაგრამ რატომ დაავიწყდათ მეორე, სოც. დემოკრატი ჰინჰარაძის ქალი, რომელმაც საჯარო პროტესტი განაცხადა კრებაზედვე ს. დ. წინააღმდეგ.

თოთიბაძე-გრიაზნოვს სამწუხაროდ მიაჩნია უნივერსიტეტში მომხდარი ამბავი, მაგრამ ჩვენ კი სიხარულით უნდა აღვნიშნოთ რომ ქართველ ახალგაზრდობაში გონიერებამ გაიმარჯვა, ის ფხიზელი თვალით უყურებს ყოველივე მოვლენას, განთავისუფლდა ყოველგვარ დოგმიდან, და თავისუფალი მოაზროვნე ქართველი გახდა. და თუ ჯერ თოთიბაძე-გრიაზნოვებისთანა კიდევ მოიძებნებიან ამის შესახებ უნდა ვთქვათ რომ „ყოველ ოჯახი თავისი მახინჯი ჰყავს.

დანი.

სიმონ წეველის განმარტება*)

„სახ. ფურცლის" 5 აპრილის ქრონიკაში მოთავსებულია ცნობა ჩემს დეზერტირობაზე. ნამდვილად კი მე უნებურად ჩამოვრჩი ეშელონს სადგ. მუხრანში. შემდეგ წავედი მე 4 ბატარეასთან ფრონტზე, რის მოწმობასაც რედაქციას ვურდგენ.

სიმონ წეველი.

---

*) რედაქცია ამოწმებს, რომ სიმონ წეველმა ეს დოკუმენტი წარმოადგინა.

შემოწირულება

საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფონდის გასაძლიერებლად.

ტრიფონ გიგინეიშვილი 500 მანეთი, ირაკლი ბილანიშვილი 1000 მანეთი, ალექსანდრე ჯაბადარი 3000 მ., ივანე და ანნა ზედგინიძე 500 მანეთი, ქართველ მსახიობთა კავშირი 1000 მ., ექიმი ბეგთაბეგოვი 1000 მან., ექიმი ივანე ბოკერია ოქროთი 37 მ. 50 კ., იგივე ვერცხლით 12 მ. 50 კ.

ქართულ უნივერსიტეტის გამგეობამ მიიღო ამ უნივერსიტეტის სასარგებლოდ:

ქუთაისის ქართველ ისრაელთა შორის შეგროვილი განსვენებულ კიტა აბაშიძის ხსოვნის აღსანიშნავად 200 მ., მეჯვრისხევის მომხმარებელ საზოგადოებისაგან „წარმატება" 115 მან., ახალ-სენაკის საზოგადო საკრებულოს საზოგადო კრების მიერ გადადებული 1000 მ., სამტრედის 4-კლასიან გიმნაზიის მოწაფეთა შორის შეგროვილი 100 მან., სამტრედიის უმაღლეს პირველდაწყებით სკოლაში მოწაფეთა შორის შეგროვილი 382 მან. 60 კაპ., ამათ შორის მეორე კლასის მოწაფემ ლეონტი ანჯაფარიძემ შემოსწირა 300 მან., ნადეჟდა გიორგის ასულმა თარხნიშვილმა შემოსწირა 6 დიდი წიგნი: ლათინურ ენაზე გალენის ხუთი წიგნი და ფრანგული „წმიდათა ცხოვრება", თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიისაგან შემოწირული 16 ცალი წიგნი საკუთარი გამოცემანი, ამავე ამხანაგობამ დაადგინა ყოველივე თავის გამოცემის თითო ცალი უთავაზოს უნივერსიტეტს, ქ-ნმა ბარბარე ყიფიანმა შემოსწირა 25 ცალი სხვა და სხვა წიგნი და ჟურნალი ფრანგულ ენაზე.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა

ექიმი
ბ. მ. მუხაძე
იღებს [illegible] ავადმყოფებს საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, [illegible] 1030

ქ. კავკავში.
ექიმი რევაზ ალექსანდრე ძე
მაჩაბელი
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოისა.
სლეპცოვის და მეშჩანურ ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 უბანი. 1002

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 6—8 საათამდე, [illegible] ქუჩა, № 7. 2180

ექიმი
ე. ა. მიქელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 სათ. [illegible] ქ. № 8.

ექიმი
ბ. ჩინამძღვრიშვილი
[illegible] ხარკ. უნივ. და ხა[illegible] შინაგან სნეულ. [illegible], გულისა, ფილტვისა და ხახხმის სნეულებიანს სპეციალ. [illegible] იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, [illegible] ძველ. ახლო, „ბომონდის" პირდაპირ. 1029

ექიმი
თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს სამბიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით $5^1/_2$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

მარტის 20 გაიხსნა
ახალი სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის
და ლ. მ. ნაზარეტიანცის
საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტექნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და კიროჩნის" ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევს 3 ს-დე. ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს. ღარიბები უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
შინაგანი სნეულებანი იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათ. საღამოს 4—6-მდე მოსკოვის ქ. № 11. 294

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1083

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა
დილით:
11—12 ს. „606" და „914
ავეტიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^1/_2$ ს.
ა. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ. ავადმყ.)
ბ. გ. აგახაროვი: $9^1/_2$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1010

აგარაკი წაღვერი
(ბაკურიანის რკინის გზა, ბორჯომიდან 12 ვერსზე)
პანსიონი
ელისაბედ მღებრიშვილისა
(მეთორმეტე სეზონი).
პანსიონი მოთავსებულია ახლად აგებულ შენობაში, მაღლობ და განცალკევებულ სუფთა ადგილს, ფიჭვ-ნაძვნარში, ყოველივე მოწყობილობით. პანსიონთან იმყოფება ექიმი, არის საგანგებოდ გამოყვანილი სწყაროს წყალი. არის ვანები, პიანინო და სხვ... სახლიდან მოსჩან საუცხოვო სანახაობა,..
აგრეთვე წაღვერში მომდინარეობს მეტად სასარგებლო მჟავე (რკინის) წყალი.
პირობების გაგება შეიძლება თვით წაღვერში: Цагвери (черезъ Боржомъ) Елизаветѣ Яковлевнѣ Мгебришвили.

ფარჩის და ჩალის უკანასკნელ ფასონზე შეკერილ ქალების და ბავშვებისა ქუდების შეძენა შეიძლება

ქ-ნ მიქელაძის ახლად გახსნილ
მაღაზიაში
თამამშევის ქარვასლაში ზედა სართული №№ 31—32 კუთხის მაღაზია.
მაღაზია შეუწყვეტლივ ღებულობს გემოვნებით და ლამაზად გაკეთებულ უკანასკნელ მოდელ ფასონებს.
ყოველივე ეს და უმთავრესად კი ხელმისაწვდომი მცირე ფასები არის სრული თავდები იმისა, რომ ქ-ნ მიქელაძის მაღაზია დაიმსახურებს პატივცემულ მყიდველთა ნდობას და ყურადღებას. ქუდების დაკვეთაც შეიძლება. იქვე საჭიროა გამოცდილი გამყიდველი (Опытная Продавщица). 40

სტამბა
„სახალხო საქმე"
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანტორის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას.
საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე.
კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარონის ქუჩა № 14.

„სახალხო საქმე"-ს
რედაქციის კანტორაში
იყიდება შემდეგი წიგნები:

ჯავახიშვილი ივ.—„ქართველ ერის ისტორია" მხოლოდ მეორე ტომ.	3 მ.
ღლონტი თ. „ავტონომია და ფედერაცია" წ. I	4 „
გრდემლი წ. I	3 „
ქართველი მწერლები.	2 „
უცხოეთის „	2 „
შიუკაშვილი—„მეგობრობა".	— 60 კ.
ჯანაშვილი—„თამარ მეფე"	1 „ 20 „
ფირცხალავა ს. „სამაჰმადიანო საქართველო"	— 40 „
ღლონტი თ. რუსული წიგნაკი—„ფედერალიზმი"	— 50 „

წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რაიც შესრულდება დაუყონებლივ. წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შემდეგი მისამართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე".

სტამბა „სახალხო საქმე", ბარონის ქუჩა № 14